ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 23 თებერვალი, 2023 №38 (9074) ფასი: 80 თეთრი


გვ.5

გიული ალასანია: „დამისაბუთონ, სად მაქვს და რა მაქვს მოხვეჭილი. თვითონ რამდენი აქვთ მოხვეჭილი, ის დაითვალონ“

ადვოკატი: „დაზარალებულები ვერ ახდენენ იდენტიფიცირებას, რომ ნამდვილად ბადრი ესებუა იყო მძარცველი“


გვ.5

# „ივანიშვილის თავზე შავი ღრუბლებია მოქუფრული“


გვ.3

მურმან დუმბაძე: „აუცილებელია აქციაზე პოლიტიკური მესიჯების გაჟღერება. უნდა ვუთხრათ ხალხს, რომ ევროკავშირის სტატუსი ჰაერშია გამოკიდებული“




გვ.2

პაატა ზაქარეიშვილი: „უფრო ღრმად შევდივართ რუსულ ნარატივში. ასე ვიქნებით, სანამ საზოგადოება არ მიხვდება, რომ მივიდეს არჩევნებზე და ხმა არ მისცეს „ქართულ ოცნებას“

# „ჩვენ გაყალბებული ქვეყანა ვართ!“

## „ბჟანიას ლუკაშენკოსთან შეხვედრა არასასიამოვნო ფაქტია“


გვ.3

ზაალ ანჯაფარიძე: „საქართველოში ისეთი სოციალურ-პოლიტიკური განწყობები არ არის, რუსეთის შემოთავაზებებს ხორცი რომ შეესხას. ამიტომ ამ მხრივ სერიოზულ საფრთხეს ვერ ვხედავ“

## „ყირიმი რუსეთის არმიისთვის შესაძლოა ხაფანგად იქცეს“


გვ.4


გვ.2

ოთარ ანგურიძე: „ვერცერთმა სახელმწიფო მეთაურმა ვერ შეძლო, ასე სტაბილურად შეენარჩუნებინა მაღალი ეკონომიკური ზრდა“


გვ.4

## ბელგიაში ქართველი პატიმარი დაიღუპა


გვ.5

ვინ არიან „ბუფალო“, „კუდალა“ და კიდევ 2 პირი, რომლებიც დიდი ოდენობით ქონების ჯგუფურად გამოძალვისთვის დააკავეს


გვ.5

## ექვსი წლის გოგონამ ბებიას პისტოლეტიდან ესროლა

5 სასამართლომ განზრახ მკვლელობაში ბრალდებულს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა

4 ავარიული სახლების ჩანაცვლების პროექტები აქტიურად მიმდინარეობს

7 მაღაზიაში ქათმის საყიდლად შესული მამაკაცი ლატარიის გამარჯვებული გახდა

6 რუსეთმა სნვ-3-ის შეთანხმება შეაჩერა

# „ჩვენ გაყალბებული ქვეყანა ვართ!“

## პაატა ზაქარეიშვილი: „უფრო ღრმად შევდივართ რუსულ ნარატივში. ასე ვიქნებით, სანამ საზოგადოება არ მიხვდება, რომ მივიდეს არჩევნებზე და ხმა არ მისცეს „ქართულ ოცნებას“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი-კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.



***– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? ვისმენთ შეფასებებს, რომ ხელისუფლებამ თავისი ქმედებით ყველა ზღვარი და წითელი ხაზი გადაკვეთა. დიდი აჟიოტაჟია ატეხილი ახალ კანონპროექტთან დაკავშირებით. ახლა ვის გამოუცხადეს ბრძოლა, რა უნდა „ქართულ ოცნებას“?***

– „ქართულმა ოცნებამ“ ბრძოლა დიდი ხანია გამოუცხადა დასავლეთს, 2016 წლიდან, როცა დაშალა კოალიცია და უარი თქვა პროდასავლურ პარტიაზე, როგორებიც იყვნენ თავისუფალი დემოკრატები, რესპუბლიკური პარტია და ასე შემდეგ. მას შემდეგ ნელ-ნელა, შეუმჩნევლად, ვიდრე არ გამოიჭერენ, ახორციელებს თავის ანტიდასავლურ პოლიტიკას. ახლა გადავიდნენ ფინალურ ნაწილზე, როცა უკვე რუსეთმა ცალსახად და მკაფიოდ გაილაშქრა თავისუფლების, დემოკრატიის წინააღმდეგ. ერთი ხელით უკრაინას ებრძვის და მეორე ხელით საქართველოს დაკარგვა არ უნდა. საქართველოს არდაკარგვაში ეხმარება სწორედ „ქართული ოცნება“. ეს კი მკაფიოდ არის გამოკვეთილი.

რაც შეეხება ამ კანონს ვითომდა აგენტების შესახებ, მნიშვნელობა არა აქვს, ამერიკულს დაარქმევენ თუ რას, ფაქტია, რომ მათ სჭირდებათ მტრის ხატი. რატომ მაინცდამაინც დღეს? რაც ახლა ხდება, ეს შეეძლოთ გაეკეთებინათ ერთი წლის წინ. უკვე რამდენი ხანია, რუსეთი ეჭიდავება აფხაზეთს ამ კანონის მიღებაზე, 2020 წლიდან. აშკარად ჩანს, რომ იქიდან მოყოლებული, რუსეთი საქართველოს ხელისუფლებისგან ამას ელოდება.

***– და ახლა რატომ გადაწყვიტა „ოცნებამ“ ამ კანონის მიღება?***

– იმიტომ, რომ დღეს საბოლოოდ გაანადგურეს ნაციონალური მოძრაობა. დღეს ნაციონალური მოძრაობა დასაცინია, სასაცილოა, გაყოფილია, საკუთარ თავსაც ვერ პატრონობენ. დღეს ნაციონალური მოძრაობა აღარ არის დამაჯერებელი მტერი, ვითომდა სახელმწიფოს დამაქცევარი.

***– ახალი მტრის ხატი სჭირდებათ?***

– დიახ, ახლა სჭირდებათ ახალი მტრის ხატი. მოკლედ, კარგად გამზადებული საშინაო დავალებაა. მათ დღეს უკვე ახალი მტრის ხატის შექმნის მცდელობა აქვთ. ახლა მტერია თურმე სამოქალაქო სექტორი. ორი ნიშანი უნდა ჰქონდეს მტერს, ერთი, უნდა იყოს არაპოპულარული, საზოგადოება ქუჩაში არ უნდა გამოვიდეს მის დასაცავად და მეორე – დასავლეთი უნდა უჭერდეს მხარს, სათქმელი რომ ჰქონდეთ, აი, იქიდან მოდიან ეს ბოროტი ძალები, დასავლეთიდან ეხმარებიანო და ასე შემდეგ. 500-ზე მეტმა ევროპარლამენტარმა მისცა ხმა სააკაშვილის დასაცავად და სააკაშვილის მეგობრების ერთმა ჯგუფმა მისცა ხმაო, ამბობს „ოცნება“. 500 კაცი როგორ არის ერთი ჯგუფი?! ანუ ყველაფერს აბრალებენ მათ, ისე, როგორც რუსეთი.

ნაციონალური მოძრაობა მტრის ხატის როლს ვეღარ ასრულებს. ახლა ახალი მტრის ხატი სჭირდებათ და სამოქალაქო სექტორს მიადგნენ.

***– კონსტიტუციაში გვიწერია, რომ მივდივართ ევროკავშირისკენ, ანუ „ქართული ოცნება“ კონსტიტუციას არღვევს?***

– რა თქმა უნდა, კონსტიტუციის წინააღმდეგ მიდიან. კონსტიტუციაში პირდაპირ გვიწერია, რომ ევროკავშირსა და ნატოში მივდივართ, მაგრამ ეს ყველაფერი არის ბლეფი! სად გვაქვს კონსტიტუცია? ის ფიქციაა! ჩვენ ვართ გაყალბებული სახელმწიფო! ხომ არის ფალსიფიცირებული, გაყალბებული ღვინო, ჩვენ გაყალბებული ქვეყანა ვართ.

***– პრემიერი მიუნხენის კონფერენციიდან აცხადებს, ვნახავთ, ამ ომის შემდეგ სად იქნება ევროპაო. ეს ნიშნის მოგებით გაკეთებული განცხადება იყო?***

– კი, რა თქმა უნდა, ზუსტად ასე იყო. მე ვეტყვი ღარიბაშვილს, რომ ევროპა იქნება იქ, სადაც არის! ვნახოთ, სად იქნება რუსეთი და, სამწუხაროდ, სად იქნება საქართველო. დიდი იმედი მაქვს, რომ ომი წელს დასრულდება, მაგრამ რუსეთის იმპერიული კრიზისი გაგრძელდება. საქართველო სად იქნება ამ ომის შემდეგ, ეს უფრო საინტერესოა. ეს კითხვა უნდა შევახსენოთ მერე ღარიბაშვილს აუცილებლად.

***– მერე გვიანი ხომ არ იქნება? ან სად არის ამ დროს საზოგადოება?***

– გვიანი უკვე არის. საზოგადოებას კი არა აქვს არჩევანი. საზოგადოება დუმს, რადგან მან არ იცის, რატომ სჯობია, მაგალითად, ვიღაცა „ქართულ ოცნებას“.

***– ანუ არ არის ალტერნატივა?***

– არ არის. საბჭოთა კავშირის კონცეფციაა. მე ვცხოვრობდი საბჭოთა კავშირში და მაშინ არანაირი გამოსავალი არ იყო. იმედებიც კი არ გვქონდა არანაირი. მადლობა ღმერთს, რომ ჩამოიშალა საბჭოთა კავშირი. უიმედობის შემოტანას, ხალხის დაშინებას ცდილობს დღეს „ოცნების“ ხელისუფლება.

***– გვაშინებენ ომით და ბევრიც დაშინდა.***

– კი, ბევრი დაშინდა. კარგად მანიპულირებადი მმართველობითი სისტემაა. არ ჰყავთ ძლიერი მოწინააღმდეგე და ოპონენტი, ამიტომ ძალიან მარტივია ასეთი მანიპულაციების განხორციელება.

***– ამბობენ, რომ კიდევ ერთი მტკივნეული თემით აპირებენ მანიპულირებას, მოდით, უარი ვთქვათ ევროკავშირზე და დავიბრუნებთ აფხაზეთსო.***

– კი, არ არის გამორიცხული. შესაძლოა, ასეთი რამ გააჟღერონ. აქეთკენ მიდის სიტუაცია და, კი ბატონო, შესაძლოა, ესეც იყოს. შეიძლება რუსეთმა რაღაცნაირად მოგვცეს მეტი თავისუფლება ახალგორსა და გალის რაიონში. ამას არ გამოვრიცხავ.

***– ბჟანიას ვიზიტიც რაღაც საეჭვოდ დაემთხვა ჯერ მოსკოვში და შემდეგ ბელარუსში. რა ხდება?***

– მე მგონი, ბჟანიას ვიზიტები, უბრალოდ, სპექტაკლია. ბჟანიამ იცის, რა სპექტაკლში მონაწილეობს. არ იქნება აღიარება ბელარუსის მხრიდან, მაგრამ იქნება ლაპარაკი აღიარებაზე. არავინ არ ლაპარაკობს დამოუკიდებლობაზე, მაგრამ ყველა გულისხმობს ვითომ დამოუკიდებლობას. დამოუკიდებლობის აღიარება ლუკაშენკოს არაფერში არ სჭირდება. მერე პრობლემები შეექმნება დსთ-ში. ერთადერთი, იქ ართმევენ ხელს და იქაც კი მიუღებელი გახდება. დღეს რუსეთს სჭირდება საქართველო „ქართული ოცნების“ სახით. ამიტომ ნებისმიერი აღიარება გამოიწვევს „ქართული ოცნებისთვის“ პრობლემების შექმნას. არ შეუქმნის პრობლემებს „ოცნებას“, დღეს ეს არ სჭირდებათ. როგორც საქართველო ახორციელებს რუსეთის მიმართ ფრთხილ პოლიტიკას, ისე რუსეთი ახორციელებს საქართველოს მიმართ ფრთხილ პოლიტიკას.

***– 24 თებერვლისთვის ემზადება ოპოზიცია. საინტერესოა, რამდენად მრავალრიცხოვან აქციას ვიხილავთ. ამბობენ, რომ „ოცნება“ სააკაშვილის თემით ცდილობს, გადაფაროს 24 თებერვალი და ექიმები აალაპარაკეს მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. თქვენ რას იტყვით „ვივა მედის“ ექიმების განცხადებაზე?***

– ექიმებს თავიანთი პასუხისმგებლობა აქვთ. პოლიტიკოსებს სააკაშვილი ფეხებზე ჰკიდიათ. თუ რამე მოუვა სააკაშვილს, პოლიტიკოსები გამოვლენ და იტყვიან, ექიმებმა სწორად არ გვითხრეს, რისკები სწორად არ შეაფასესო. ამიტომ ყველა გრძნობს, რომ მთელი პასუხისმგებლობა გადავა ექიმებზე, მათზე გადატყდება ჯოხი. ამიტომ ექიმები იძულებული არიან, თქვან სიმართლე. ეს ნორმალურია. სააკაშვილის ჯანმრთელობა აშკარად შერყეულია. როგორ იყენებს სააკაშვილი ამას, ეს სხვა საკითხია. ის პოლიტიკოსია და, კი ბატონო, პოლიტიკურად იყენებს. ფაქტია ორი რამ, სააკაშვილი ნამდვილად ავად არის და თავის ავადმყოფობას ნამდვილად იყენებს, თუმცა ეს მისი უფლებაა და ამ უფლებას ვერავინ წაართმევს. რეალობა ერთია, ავადმყოფი სააკაშვილი დღემდე დღის წესრიგს უდგენს მთელ საქართველოს. აბსოლუტურად ყველა სააკაშვილზე ლაპარაკობს.

***– ეს ორივე მხარეს აწყობს, ხელისუფლებასაც და სააკაშვილსაც?***

– ხელისუფლებას აწყობს ამით სხვა თემების გადაფარვა, სააკაშვილს კი გარეთ გასვლა სჭირდება. მას სხვა გზა არც დარჩენია, გარდა იმისა, რომ თავისი ავადმყოფობა გამოიყენოს, როგორც ინსტრუმენტი ხელისუფლების წინააღმდეგ. ამას ეფექტურად იყენებს. მთელი უბედურება ის არის, კავკასიური ცარცის წრისა არ იყოს, რომ ვიღაცამ ხელი უნდა გაუშვას ამ სიტუაციას. ამით პირველ რიგში სააკაშვილის ჯანმრთელობა შეირყევა საბოლოოდ და შეიძლება მის სიცოცხლესაც საფრთხე შეექმნას. თუმცა მას მიაჩნია, რომ სხვა შანსი არა აქვს, გარდა იმისა, რომ ამ ინსტრუმენტით ელაპარაკოს ხელისუფლებას.

***– 24 თებერვლის აქციაზე რას იტყვით?***

– არა მგონია, ხალხმრავალი აქცია იყოს. ალბათ ამინდიც არ იქნება იდეალური. სააკაშვილზე ლაპარაკი საჭიროა, მაგრამ არა ყოველთვის და ყველგან. 24 თებერვალს, უკეთესია, ლაპარაკი იყოს უკრაინაზე. სააკაშვილის გარდა, უამრავი სხვა საკითხია ქვეყანაში.

***– რით დასრულდება ეს ქაოსი?***

– დასრულდება იმით, რომ ჩვენ უფრო და უფრო ღრმად შევდივართ რუსულ ნარატივში. სანამ საზოგადოება არ მიხვდება, რომ უნდა მივიდეს არჩევნებზე და ხმა არ მისცეს „ქართულ ოცნებას“, მანამდე გაგრძელდება ასე.

# ოთარ ანგურიძე: „ვერცერთმა სახელმწიფო მეთაურმა ვერ შეძლო, ასე სტაბილურად შეენარჩუნებინა მაღალი ეკონომიკური ზრდა“

ეკონომისტმა ოთარ ანგურიძემ საინფორმაციო სააგენტო PIA.GE-სთან საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის იმ ინიციატივებსა და პროექტებზე ისაუბრა, რომლებიც ღარიბაშვილმა გაპრემიერებიდან ორი წლის განმავლობაში განახორციელა.

ეკონომისტის თქმით, ლარის გამყარება და ქვეყანაში სოციალური დახმარების მატება ორნიშნა ეკონომიკურმა ზრდამ გამოიწვია.

ამასთან, ანგურიძე ამბობს, რომ ქვეყანაში აქამდე მსგავსი ეკონომიკური ზრდა არ ყოფილა და დასძენს, რომ ღარიბაშვილის გარდა აქამდე ვერცერთმა სახელმწიფო მეთაურმა ვერ შეძლო ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება.

– ლარის გამყარების, სოციალური დახმარებისა და პენსიების ზრდის – ყველაფრის მიზეზი არის ის, რომ ქვეყანაში გვაქვს ორნიშნა მაღალი ეკონომიკური ზრდა და, შესაბამისად, ეს მაღალი ეკონომიკური ზრდა იძლევა საშუალებას, ქვეყნის ეკონომიკა იყოს სტაბილური და სტაბილურობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი ლარის სიმყარეა.

ინვესტიციების საკმაოდ კარგი შემოდინება, ტურიზმის საკმაოდ სწრაფი აღდგენა – ამ ყველაფერმა ჩვენ მოგვცა ის, რომ, საბოლოო ჯამში, ბიუჯეტში მომხდარიყო თანხების აკუმულირება, რაც მთავრობას მისცემდა სოციალური მიმართულებით დამატებითი ახალი პროექტებისა თუ არსებული პროექტების გაფართოების შესაძლებლობას. მათ შორის, პენსიების ზრდაც და სხვა სოციალური პროექტების საბიუჯეტო პაკეტის ზრდა სწორედ ამისგან არის გამომდინარე, რომ ჩვენ გვაქვს მაღალი ეკონომიკური ზრდა და მაღალმა ეკონომიკურმა ზრდამ მოგვცა საშუალება, ბიუჯეტში შესულიყო საკმაოდ სოლიდური საგადასახადო შემოსავლების ნაკადი.

აქამდე საქართველოს არასდროს არ ჰქონია ორნიშნა ეკონომიკურ ზრდა ასეთი დიდი ხანგრძლივობით და, ვფიქრობ, ეს მაჩვენებელი შევა ისტორიაში, როგორც ღარიბაშვილის ერთ-ერთი ეკონომიკური წარმატება, რადგან ამ 32 წლის განმავლობაში ვერცერთმა სახელმწიფო მეთაურმა ვერ შეძლო, რომ ასე სტაბილურად შეენარჩუნებინა მაღალი ეკონომიკურ ზრდა, – აცხადებს ანგურიძე.




ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში ანაკლიის პორტის შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ პროექტის ბოლომდე განხორციელება მნიშვნელოვანია.

მისი თქმით, ანაკლიის პორტმა პოლიტიკური სახე მიიღო.

– ანაკლიის პორტმა გარკვეული სახის პოლიტიკური სახე მიიღო, იმდენად, რამდენადაც ანაკლიის პორტის პროექტის პირველი გამარჯვებულები (მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე), როდესაც ჩააგდეს პროექტი, აღმოჩნდნენ შემდგომში პოლიტიკაში და მოახდინეს თემის პოლარიზება. ვფიქრობ, ეს საკითხი პოლიტიკიდან უნდა იყოს შორს და უნდა გაკეთდეს საკმაოდ კარგი ეკონომიკური გათვლებითა და არა პოლიტიკური გადაწყვეტილებებით.

შესაბამისად, აქტუალობა უფრო მეტი შეიძინა ამ საკითხმა. პრემიერის ახლანდელი დაანონსება ანაკლიის პროექტის შესახებ არის ერთ-ერთი დასტური იმისა, რომ მთავრობა არის მზად იმისათვის, რომ ამ საკითხს მიუდგეს არა პოლიტიკურ, არამედ პროფესიულ ჭრილში. ვფიქრობ, კარგად შეიფუთება ეს პროექტი და, ასევე, ვარ დარწმუნებული, რომ ნამდვილად გამოჩნდებიან კეთილსინდისიერი მშენებლები, რომლებიც არა ამ მთავრობისგან მოითხოვენ იმ გარანტიებს, რომლებსაც წინა ინვესტორები ითხოვდნენ, არამედ თავად შექმნიან საგარანტიო სივრცეს ქვეყანაში, რომლითაც შეძლებენ, მოიზიდონ ინვესტიციები და შემდგომ მოახდინონ ამ პორტის მშენებლობა, – აღნიშნავს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში.

ოთარ ანგურიძის განცხადებით, პროდუქტებზე საჭიროც და აუცილებელიც არის, რომ სახელმწიფოს მხრიდან იყოს გარკვეული სახის რეგულირება.

მისი თქმით, გარკვეული სახის კომპანიებს დომინანტური მდგომარეობა აქვთ ბაზარზე შექმნილი და ამ დომინანტურ მდგომარეობას იყენებენ მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე.

– საწვავზე გასულ წელსაც იყო მსგავსი ტიპის განცხადება პრემიერის მხრიდან და ვნახეთ, საკითხის შესწავლის შემდეგ მალევე მოხდა საწვავის ფასების გაიაფება. ასევე, ვნახეთ გასულ წელს პრემიერმა დააანონსა და მოიკითხა ფარმაცევტულ ბაზარზე ფასების სტრუქტურა და, შესაბამისად, პრემიერის ჩარევასაც მოჰყვა შესაბამისი რეაგირება, როდესაც გაიხსნა თურქეთის ბაზარი და მოხდა უკვე მედიკამენტებზე ფასების დაწევა, რაც გრძელდება ეტაპობრივად.

რაც შეეხება ახალ ინიციატივას, რომელიც არის დაკავშირებული სურსათის ფასებთან, ვფიქრობ, აქაც, შესაძლოა, მოჰყვეს გარკვეული სახის ქმედება. ვფიქრობ, პროდუქტებზე საჭიროც არის და აუცილებელიც, რომ სახელმწიფოს მხრიდან იყოს გარკვეული სახის რეგულირება მოგების მარჟებზე, რათა კომპა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ივანიშვილის თავზე შავი ღრუბლებია მოქუფრული“

## მურმან დუმბაძე: „აუცილებელია აქციაზე პოლიტიკური მესიჯების გაჟღერება. უნდა ვუთხრათ ხალხს, რომ ევროკავშირის სტატუსი ჰაერშია გამოკიდებული“

ნათია ხურცილავა

**„ნაციონალური მოძრაობა — ძალა ერთობაშიას“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ბატონო მურმან, 24 თებერვლის აქციას თუ უერთდებით და როგორია თქვენი მოლოდინი, რამდენად ხალხმრავალი აქცია იქნება?***

— აუცილებლად ვიქნები აქციაზე. საუბარია იმაზე, რომ აქცია რეგიონებშიც გაიმართოს და არა მხოლოდ თბილისში. დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრი ხალხი მოვა. ეს იქნება უკრაინის მხარდამჭერი აქცია ომის დაწყებიდან ერთი წლის თავზე. ეს არის სოლიდარობის აქცია. ქართველმა ხალხმა, მისი ხელისუფლებისგან განსხვავებით, უნდა დააფიქსიროს, რომ ის უკრაინის სოლიდარულია, რომ ევროპული, დასავლური ცივილიზაციის გვერდით დგას და არა — პუტინისა და ომის გვერდით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ასევე მნიშვნელოვანი მგონია სხვადასხვა ქალაქში შეკრება, რათა უკრაინამ მთელი საქართველოდან მიიღოს გზავნილი, რომ საქართველო უკრაინის გვერდით დგას. ამ ომში უკრაინის გამარჯვება საქართველოს გამარჯვებაა, უკრაინის დამარცხება კი არის საქართველოს დამარცხება. ეს დატვირთვა აქვს ამ ყველაფერს.

ყველამ მოისმინა პუტინისა და მედვედევის, ასევე ჯო ბაიდენის გამოსვლები. როგორი რადიკალურად განსხვავებულია ეს გზავნილები. ჯო ბაიდენმა ერთი წლის თავზე სწორედ თებერვალში პოლონეთის გავლით უკრაინაში ჩასვლით მთელ სამყაროს გაუგზავნა მესიჯი, რომ პუტინს დიდი დღეები არ უწერია. პირველ რიგში პუტინს უთხრა, რომ უკრაინა არა მხოლოდ მათი კეთილგანწყობით სარგებლობს, არამედ მათი პასუხისმგებლობის ზონაა და ასე მარტივად არ დათმობენ.



***— ომის ერთი წლისთავის აღსანიშნავად უკრაინის რადამ ოფიციალური მოწვევა გაუგზავნა საქართველოს დელეგაციას, თუმცა მათ ამ მოწვევაზე უარი თქვეს. როგორ ფიქრობთ, რატომ?***

— ვერ ჩავიდოდნენ. ზარქუა რომ გახდება მთავარი მესიჯბოქსის გამხმოვანებელი, რომ უარს ვამბობთ უკრაინასთან დიპლომატიურ ურთიერთობებზე, ჩვენი ქვეყნის ამბავი მართლაც ვერ არის კარგად. ეს ნამდვილად არის სრული იზოლაცია ცივილიზებული მსოფლიოსგან.

თითოეულ ჩვენგანს, ჩვენს მომავალს რომ არ ეხებოდეს, ვიტყოდი, ამაზე კარგად, გულიანად უნდა ვიცინოთ-მეთქი, მაგრამ, აბა როგორ გინდა იცინო, როდესაც ქვეყნის ბედზეა საუბარი.

დიახ, ვერ დადგებოდა საქართველოს ხელისუფლება ევროპული დელეგაციების გვერდით. მას შემდეგ, რაც ირაკლი ღარიბაშვილმა 24 თებერვალს განცხადება გააკეთა, რომ უკრაინას არ უნდა მიეწოდოს იარაღი, რაც ნიშნავს იმას, რომ უკრაინა ამ ომში უნდა დამარცხდეს. ამის შემდეგ როგორ გამოყოფენ თავს სადმე, მით უფრო უკრაინაში. იმ ფონზე, როდესაც მთელი დასავლეთის ლიდერები უკრაინაში ჩადიან, ღარიბაშვილმა ერთხელ მაინც აიღო ტელეფონი ხელში და ზელენსკის სამძიმრის სიტყვა მაინც თუ უთხრა, მორალური მხარდაჭერა მაინც თუ გამოუცხადა?! მე არ ვითხოვ საქართველოს ხელისუფლებისგან, რომ დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, პოლონეთის, ამერიკის მსგავსად იარაღი მიაწოდოს უკრაინას. ამას ღარიბაშვილს არავინ არ სთხოვს და ამაზე არც შეიძლება ლაპარაკი. აქ სხვა მხარდაჭერაზეა საუბარი. მორალურად გვერდით დგომა და გამხნევება შეგვეძლო და ამაზეც უარი ვუთხარით ჩვენს მეგობრებს, იმ ხალხს, რომლებიც ჩვენ მაგივრადაც იბრძვიან.

რატომ უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლება რუსეთის გვერდით, იმ რუსეთის, რომელსაც ჩვენი ტერიტორიების 20 პროცენტი ოკუპირებული აქვს. რატომ უნდა თვლიდეს „ქართული ოცნება“, რომ რუსეთის გამარჯვება მისი გამარჯვებაა. ამაზე დიდი დანაშაული რა უნდა იყოს. ივანიშვილის თავზე შავი ღრუბლებია მოქუფრული. ის ამას გრძნობს და ამიტომ არის ამ დღეში.

***— რა დღეში?***



— ის, რასაც „ქართული ოცნების“ ვითომ ლიდერები მთელ დასავლეთს რომ უკიჟინებენ, ამერიკულ კანონმდებლობას რომ ასწავლიან და უხსნიან ამერიკელ კანონმდებლებს, რუსულ კანონს რომ ევროპულად ასაღებენ, ეს მართლაც არის შავი ღრუბლების მოქუფვრა.

***— ბატონო მურმან, 24 თებერვლის აქციაზე პოლიტიკური გზავნილები იქნება?***

— უნდა იყოს. მე ვაპირებ, რადგან უკვე თვით პუტინის მეგობარი ლუკაშენკოც კი დაგვცინის, თუ როგორ ექცევა ხელისუფლება მიხეილ სააკაშვილს. სააკაშვილის ჯანმრთელობა კი არ ადარდებთ, უბრალოდ, დაგვცინიან, ეს კაცი თქვენი ქვეყნის პრეზიდენტი იყოო, გვეუბნებიან.

აუცილებელია აქციაზე პოლიტიკური მესიჯების გაჟღერება. უნდა ვუთხრათ ხალხს, რომ 12 პუნქტის შესრულებაზე ლაპარაკი ზედმეტია, რომ ევროკავშირის სტატუსი ჰაერშია გამოკიდებული და მისი მიღება არ არის „ოცნების“ მიზანი. ამიტომ ქართველი ხალხი ამ ყველაფერს არ უნდა შეეგუოს.

# „ბჟანიას ლუკაშენკოსთან შეხვედრა არასასიამოვნო ფაქტია“

## ზაალ ანჯაფარიძე: „საქართველოში ისეთი სოციალურ-პოლიტიკური განწყობები არ არის, რუსეთის შემოთავაზებებს ხორცი რომ შეესხას. ამიტომ ამ მხრივ სერიოზულ საფრთხეს ვერ ვხედავ“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე პასუხობს.**

***— ბატონო ზაალ, დღევანდელ საერთაშორისო პოლიტიკაში მაღალი დონის თამაშები მიმდინარეობს. უძლიერეს ქვეყნებს შორის ურთიერთობები ჩიხშია შესული. უკრაინის სასტიკი ომის ერთი წლის თავზე კიევში ამერიკის პრეზიდენტის ბაიდენის ვიზიტი შედგა, რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა კი თავის ყოველწლიურ გამოსვლაში განაცხადა, რომ რუსეთის ბრძოლის ველზე დამარცხება შეუძლებელია. ისე საუბრობდა, თითქოს უკრაინა შეიჭრა რუსეთში და არა — რუსეთი უკრაინაში. ყოველივე ამას თქვენ როგორ აფასებთ?***

— მე შთაბეჭდილება დამრჩა, რომ პუტინი ცდილობდა, ნდობის, რწმენის ეროზიის პრევენცია მოეხდინა, რაც რუსეთის საზოგადოებაში ამ ე.წ. სპეცოპერაციისა და მისი შედეგების მიმართ, შესაძლოა, უკვე გაჩნდა.

თუ ვინმე თვალს გადაავლებს რუსეთში მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგებს (რომელიც, საქართველოსაგან განსხვავებით, რეგულარულად ტარდება. მათ მოსახლეობის პულსზე ხელი უჭირავთ), იქ სტრიქონებს შორის აუცილებლად ამოიკითხება რუსი საზოგადოების შეშფოთება, წუხილი და ცუდის მოლოდინი უკრაინაში ე.წ. სპეცოპერაციის მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით.

რუსეთის შესაბამისი სტრუქტურები ამას გრძნობენ და აფასებენ. ამიტომ, უარყოფითი განწყობები რომ გაენეიტრალებინა, პუტინი თავისი გამოსვლის ტექსტში შეეცადა, რუს საზოგადოებაში ერთგვარი ოპტიმიზმი ჩაენერგა. თქვენ მიერ ციტირებული ფრაზა, რომ ბრძოლის ველზე რუსეთის დამარცხება შეუძლებელია, ამას ემსახურებოდა.

***— პუტინის გამოსვლაში მთავარი რა იყო?***

— პუტინის გამოსვლაში მთავარი ის იყო, რომ, სამწუხაროდ, მსოფლიო უსაფრთხოების ზღურბლმა უფრო ქვემოთ ჩამოიწია, ანუ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი სტრატეგიული შეტევის შეიარაღების კონტროლის ხელშეკრულებაში თავის მონაწილეობას აჩერებს, თან თავდაცვის სამინისტროს დავალება მისცა, ბირთვული იარაღის გამოცდა ჩაატაროს.

***— გამოცდა უკვე ჩაატარა, მაგრამ წარუმატებელი აღმოჩნდა. სი ენ ენ-მა, ამერიკელ ოფიციალურ პირებზე დაყრდნობით, განაცხადა, რომ ბაიდენის კიევში ყოფნისას რუსეთმა კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტა გამოცადა. „სარმატის“ ტიპის რაკეტა ყოფილა, რომელსაც სატანა-2-ს უწოდებენ.***

— პირველი და ბოლო გამოცდა არ იქნება. მათ განაცხადეს, რომ ბაიდენისთვის უსაფრთხოების გარანტიები არ მიუციათ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ პუტინის გამოსვლაში უკრაინაში ომის დასრულების არანაირი მზადყოფნა არ იგრძნობოდა.

ეს ახალ გამოწვევასა და ახალ საფრთხეებს ნიშნავს, რომელიც შეიძლება პერსპექტივაში საქართველოზეც აისახოს. ბაიდენის გამოსვლაც საომარი სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. მას მშვიდობაზე ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს. ორივე მხარე განწყობილია, მეორის დამარცხებისა და საკუთარი გამარჯვებისთვის იბრძოლოს, რაც მსოფლიო უსაფრთხოების სისტემაზე ძალიან ნეგატიურად მოქმედებს.

როდის დადგება ის მომენტი, როდესაც მხარეები გააცნობიერებენ, რომ ორივე მხარე უნდა გაჩერდეს, დიდწილად იმაზე იქნება დამოკიდებული, თვითონ ბრძოლის ველზე როგორ განვითარდება პროცესები. დღეს მთავარი მოქმედი ფიგურა, ერთი მხრივ, უკრაინელი ჯარისკაცია, ხოლო მეორე მხრივ — რუსი ჯარისკაცი.

რომელი მათგანიც ბრძოლის ველზე სტრატეგიული წარმატების მიღწევას მოახერხებს, შემდეგ ის განსაზღვრავს სახელმწიფოს მეთაურთა და პოლიტიკური კლასის პოზიციას ამ ომთან დაკავშირებით.

სავარაუდოდ, ეს პროცესი მეტ-ნაკლებად ნათელი გახდება გაზაფხულზე, როდესაც უკრაინა თანამედროვე შეიარაღების ახალ პარტიას მიიღებს, რა დროსაც მოსალოდნელია კონტრშეტევა, რაც ბევრს გვეტყვის იმაზე, რას შეიძლება ველოდოთ და რა პროცესებთან გვექნება საქმე.

***— ნიშანდობლივი ხომ არ არის ის, რაც სი ენ ენ-ით ცნობილი ხდება, ანუ კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტის გამოცდა რუსეთმა აშშ-ს წინასწარ შეატყობინა (შეიძლება, შეტყობინების ვალდებულება ჰქონდა) გარკვეული დეკონფლიქტური ხაზებით, ანუ ბაიდენმა ამის შესახებ იცოდა, მაგრამ კიევში მაინც ჩავიდა? ამერიკის ოფიციალური პირის განმარტებით, ეს ტესტი აშშ-ისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. ეს რაზე მიგვანიშნებს?***



— როგორ ფიქრობთ, ჯო ბაიდენი კიევში ჩავიდოდა, მისთვის უსაფრთხოების სამსახურს (უსაფრთხოების) გარანტია რომ არ მიეცა? მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის დახურული არხებით კომუნიკაცია შენარჩუნებულია. ეს როგორც რუსულ, ასევე ამერიკულ მხარეს დადასტურებული აქვს.

მიუხედავად იმისა, რუსეთის წარმომადგენლებმა საჯაროდ რაც უნდა განაცხადონ, თითქმის დარწმუნებული ვარ, გარკვეული მოლაპარაკებები იყო იმის თაობაზე, რომ ბაიდენის ვიზიტი კიევში უსაფრთხო გარემოში ჩატარებულიყო და რაიმე სიურპრიზებს ადგილი არ ჰქონოდა.

***— ბირთვული იარაღის გამოცდა რა იყო?***

— ბირთვული იარაღის გამოცდა ერთგვარი ფსიქოლოგიური ზემოქმედების საშუალება იყო. მე ამას მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ მივანიჭებდი.

***— კიევში ბაიდენის ვიზიტის თაობაზე რუსული მედიასაშუალებები (რომლებიც რუსეთის ხელისუფლების დანამატს წარმოადგენენ) არ საუბრობდნენ ისე, რომ მათ ამ ვიზიტის შესახებ წინასწარ იცოდნენ, ანუ რუსულმა სპეცსამსახურებმა ბაიდენის კიევში ვიზიტის შესახებ არ იცოდნენ?***

— სპეცსამსახურებმა ყველაფერი იცოდნენ.

***— მაშინ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები რატომ ლაპარაკობდნენ ისეთ ტონალობაში, თითქოს ეს ფაქტი მათთვის მოულოდნელობა იყო?***

— ვფიქრობ, ან კოორდინაციის დარღვევას ჰქონდა ადგილი, ან რუსეთის სპეცსამსახურებმა მათი ვადაზე ადრე ინფორმირება არ მოისურვეს. რუსული გამონათქვამია: მარჯვენა ხელმა არ იცის, მარცხენა რას აკეთებს.

აქ მთავარი ის კი არ არის, რუსეთის მედია რას ამბობს, მთავარია ფაქტი — ბაიდენი კიევში ჩავიდა, ზელენსკი გაამხნევა და დახმარებას შეჰპირდა. შეიძლება ბაიდენს ზელენსკისთვის განსაზღვრული მესიჯებიც ჰქონდა, რომელიც ჯერჯერობით საჯაროდ არ ხმაურდება და მოგვიანებით გავიგებთ, რაც აშშ-ის ადმინისტრაციისთვის ტრადიციად იქცა.

***— როგორ?***

— მისთვის სანდო საინფორმაციო საშუალებებში ინფორმაციის წინასწარგანზრახული გაჟონვები რატომ ხდება? განსაკუთრებით ისეთ გამოცემებში, როგორებიცაა „ნიუ იორკ ტაიმსი“, „ვაშინგტონ პოსტი“. ალბათ ინფორმაცია გამოჩნდება (რაც ბაიდენმა ზელენსკის უთხრა), ორმა ლიდერმა არასაჯაროდ რაზე ისაუბრა.

***— ამ ამბების პარალელურად, როგორც ჩანს, პუტინის ნებით მოსკოვში მყოფი აფხაზეთის სეპარატისტი ლიდერი ბჟანია ბელარუსის პრეზიდენტ ლუკაშენკოს შეხვდა. ეს ფაქტი რას ნიშნავს? ამით ჩვენი შეშინება და ჩვენზე გავლენის მოხდენა უნდოდათ?***

— ბჟანიას ლუკაშენკოსთან შეხვედრა არასასიამოვნო ფაქტია. ლუკაშენკო ადრე ამის უფლებას თავს არ აძლევდა — ჩასულიყო აფხაზეთში ან სეპარატისტული რეგიონების ლიდერები თავისთან მიეღო.

***— ეს ბარიერი ლუკაშენკომ, მგონი, მაშინ გადალახა, როცა აფხაზეთში იმყოფებოდა.***

— დიახ, ეს ბარიერი გადალახა. თუ ადრე ლუკაშენკო სეპარატისტ ლიდერებთან პირდაპირ კონტაქტებზე უარს აცხადებდა, ახლა ეს ფსიქოლოგიური ბარიერი გადალახულია, დიდი ალბათობით, მოსკოვის ზეგავლენით. თუმცა, ლუკაშენკომ ისიც დაგვანახა, რომ ბჟანიასა და სხვა სეპარატისტ ლიდერებს ამ რეგიონების აღიარების არავითარი გარანტიები ირიბადაც კი არ მისცა.

***— ლუკაშენკომ თქვა, საქართველოს ხელისუფლებას რატომ ჰგონია, რომ ჩვენ (მე და ბჟანია) აქ საქართველოს წინააღმდეგ რაიმეს ვგეგმავთო. ამით რამეზე მიგვანიშნა?***

— ვერ გეტყვით, ლუკაშენკო რას გულისხმობდა. ყოველ შემთხვევაში, მისი ნათქვამიდან გამომდინარე, პერსპექტივაში ისეთი სურათი დახატა, რომ შეიძლება აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი და დანარჩენი საქართველოს ტერიტორია ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდნენ, ოღონდ, ეს, ვთქვათ, რუსეთის კონტრო-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „ყირიმი რუსეთის არმიისთვის შესაძლოა ხაფანგად იქცეს“

## „რუსეთს შეუძლია ბირთვული დარტყმის მოყენება, მაგრამ ეს მისთვის ცუდად დამთავრდება“

მარიამ მჭედლიშვილი



რაც არ უნდა დაიძაბოს ურთიერთობა საქართველოსა და უკრაინის ხელმძღვანელობას შორის, უკრაინის ომი და მისგან მომდინარე პროცესები საქართველოს საზოგადოებისთვის ერთ-ერთი მთავარი განსახილველი საკითხია. საქართველოში ხალხის აბსოლუტურ უმრავლესობას სურს აგრესორი რუსეთის მარცხი. თუ ადრე ყირიმის გათავისუფლება მკაფიოდ განიხილებოდა დეოკუპაციის დამაგვირგვინებელ სტადიად, ახლა ექსპერტები და სამხედროები მსჯელობენ ყირიმის ოპერაციის წინ გადმოწევის ვარიანტზე. ამ და სხვა საკითხებზე უკრაინული მედია ესაუბრა პოლიტიკის უკრაინელ ანალიტიკოსს ალექსანდრ პალის.

***— გენერალ ბენ ხოჯესს მიაჩნია, რომ უკრაინამ ჯერ ყირიმი უნდა გაათავისუფლოს, ვინაიდან ამის შემდეგ დონბასის გათავისუფლება გაუადვილდება. ყირიმი თუ დაკარგა, რუსეთი შეიძლება დონბასიდანაც გავიდეს?***

— ბენ ხოჯესი მართალია. მაშინ, როცა მტერი სერიოზულად დასუსტებულია, რუსების განდევნა ყირიმიდან ნიშნავს რუსეთთან ფრონტის ხაზის მკვეთრ შემცირებას და უკრაინის ჯარებს გაუადვილდებათ მოქმედებები.

არავინ ამტკიცებს, რომ რუსეთი დონბასიდან მყისიერად გავა. მას იქიდან გამოაგდებენ.

***— რამდენად დამანგრეველია ყირიმის დეოკუპაციის ოპერაცია რუსეთისთვის? რა პროცესებს შეიძლება მიეცეს ბიძგი?***

— დეოკუპაცია განხორციელდება სამხედრო გზით. ახლა აშშ უკვე მხარს უჭერს უკრაინას იმაში, რომ მან გამოიყენოს აშშ-დან მიღებული შეიარაღება დარტყმებისთვის ყირიმში განთავსებულ რუსეთის სამხედრო ბაზებზე.

თავდაცვის თვალსაზრისით ყირიმი საკმაოდ მოწყვლადია. მისი უზრუნველყოფა ხდება ან რუსეთის ფედერაციის შავი ზღვის ფლოტის (მისი შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდულია) მეშვეობით, ან ყირიმის ხიდის გამოყენებით. თუ უკრაინა სპობს მომარაგების საშუალებებს, ყირიმი მახეში ექცევა. ამის შედეგად რუსეთის ჯარებს რჩებათ ორი გზა – ან ჩქარა გაიქცნენ, ან დარჩნენ და დაიღუპონ.

ამრიგად, ყირიმი შეიძლება იქცეს ხაფანგად რუსეთის არმიისთვის, ისეთივე ხაფანგად, როგორიც იყო ხერსონშჩინის მარჯვენა სანაპირო.

***— განგვიმარტეთ აშშ-ის პოზიცია ყირიმის ოპერაციაზე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამერიკელები ცდილობენ დისტანციის დაკავებას.***

— ეს არასწორი შეხედულებაა. ამერიკულ გამოცემა „პოლიტიკოში“ დაიწერა, რომ ბლინკენმა ექსპერტებთან შეხვედრაზე მიანიშნა, ყირიმი შეიძლება გახდეს ესკალაციის ზონა რუსეთისთვის. ამის მერე მალევე გავრცელდა ნულანდის პოზიცია. მან განაცხადა, რომ აშშ მხარს დაუჭერს ყირიმის სამხედრო გზით დაბრუნებას. არანაირი ორაზროვნება და ორმაგი მიდგომა არ ყოფილა, პირიქით, სახელმწიფო დეპარტამენტმა ორაზროვნება მოსპო.

***— შესაძლებელია თუ არა ყირიმის ოპერაციის დაწყება წელს?***

— დიახ, ეს რეალურია. ვნახეთ, როგორ დაინგრა რუსეთის თავდაცვის ხაზი ხარკოვის ოლქში. ამას დღეები კი არა, საათები ეყო.

***— რამდენი ხანი დასჭირდება ყირიმის დეოკუპაციას?***

— ძნელი სათქმელია. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ძალებია ამაში ჩართული. ეს ვადა შეიძლება იყოს ორიოდე თვე ან რამდენიმე კვირა. ყირიმის სამხრეთით მთიანი ნაწილია, სადაც დეოკუპაციის პროცესი შეიძლება არც ისე ადვილად წარიმართოს, როგორც ბარში.

***— თუ ყირიმის ხიდს დარტყმები მიადგება, როგორი რეაქცია ექნება რუსეთს?***

— რუსეთი ამას უპასუხებს უკრაინაზე მორიგი სარაკეტო დარტყმებით, ისევე, როგორც ეს მოახდინა ოქტომბერში, როცა ყირიმის ხიდზე დარტყმები განხორციელდა.

***— ანუ მედვედევის სიტყვები ბირთვული დარტყმის თაობაზე, უბრალოდ, დაშინებაა?***

— რუსეთს შეუძლია ბირთვული დარტყმის მოყენება, მაგრამ ის საპასუხოდ მიიღებს სერიოზულ დარტყმას და განადგურდება რუსეთის ყველა დაჯგუფება უკრაინის ტერიტორიაზე. ეს იქნება მორიგი საშიში ესკალაცია, რომელიც რუსეთს ცოტა რამეს თუ შესძენს. ისინი უკრაინის არმიას ბირთვული იარაღით ვერ გაანადგურებენ. რუსეთისთვის ეს ცუდად დამთავრდება და ეს იქნება მისთვის მარცხი.

***— რა მოუვა რუსეთსა და მის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, როცა უკრაინა სამხედრო გზით ყირიმს დაიბრუნებს?***

— რუსეთისგან ნელ-ნელა ყალიბდება ჩრდილოეთი კორეა. როცა პუტინი გარდაიცვლება ან მას ხელისუფლებას ჩამოაცილებენ, რუსეთის ახალი ხელისუფლება ეცდება, სხვანაირი საქმიანობა დაიწყოს.

***— რუსეთის დაშლის იმედი თუ უნდა გვქონდეს?***

— ეს შესაძლებელია უფრო მეტად ეკონომიკური სიტუაციის გამო. შესაძლოა, რუსეთის ტერიტორიის ნაწილი აღმოჩნდეს სხვა სახელმწიფოების – აშშ-ის, ჩინეთის გავლენის ქვეშ და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდეს გავლენის რამდენიმე ზონა.

# „ბჟანიას ლუკაშენკოსთან შეხვედრა არასასიამოვნო ფაქტია“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ლის ქვეშ, სამოკავშირეო სახელმწიფოს სახით.

***— მისი სიტყვებიდან ეს გამომდინარეობდა?***

— ლუკაშენკოს უყვარს ასეთი მინიშნებებით საუბარი. ის კარტებს არასოდეს ხსნის. მან ასეთი პოლიტიკური თუ დიპლომატიური მანევრი გააკეთა, არც მწვადი დაწვა, არც შამფური.

***— თქვენ, როგორც პოლიტიკის ანალიტიკოსი, როგორ ფიქრობთ, ლუკაშენკოს ეს აზრები რეალობას აშკარად აცდენილი არ არის? რამდენად წარმოსადგენია საქართველოს რუსულ ორბიტაზე დაბრუნება?***

— არა მარტო ლუკაშენკოს, არამედ რუსეთის ოფიციალური პირების ეს მეთოდი კარგად არის აპრობირებული.

***— როგორ არის აპრობირებული?***

— ქართველ საზოგადოებასა და პოლიტიკურ სპექტრში შემოაგდებენ რაღაც იდეას, რაღაც წინადადებას განსჯისთვის, რათა დისკუსია დაიწყოს. იმის შემდეგ, რაც დისკუსია დაიწყება, ისინი ინფორმაციას შეაგროვებენ, საქართველოში რა განწყობებია, კონკრეტული იდეის განხორციელების შანსი თუ არის და მისი ხორცშესხმა შეიძლება თუ არა.

ასე საქართველოს ხელისუფლებას სიგნალებს უგზავნიან, კონკრეტული იდეა გამოვა თუ არა. ანალიზის შემდეგ რა შედეგსაც მიიღებენ, იმის მიხედვით გადაწყვეტენ, მომავალში რა მიმართულებით იმოძრაონ.

***— სიგნალები კი არ წყდება.***

— სიგნალები წლობით გრძელდება, პირველი კი არ არის. მაგალითად, ცოტა ხნის წინ ლავროვი ავიამიმოსვლის აღდგენასა და უვიზო მიმოსვლის შემოღებაზე ლაპარაკობდა. ადრე მან საბჭოთა დიპლომატის სტილში განაცხადა, ქართველებმა, აფხაზებმა და ოსებმა ერთმანეთში მოილაპარაკეთო.

***— ამას ხშირად ამბობდა, მაგრამ ხელს არ უწყობდა, პირიქით, ჩვენ შორის ურთიერთობებს ამწვავებდა, თან აცხადებდა, ჩვენ არაფერ შუაში ვართ, აფხაზებსა და ოსებს თქვენთან ურთიერთობა არ უნდათო.***

— ამით საქართველოს ხელისუფლებას უგზავნიდა სიგნალს, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა თუ გინდათ, აფხაზებსა და ოსებს მოელაპარაკეთ რუსეთის პირობებით ერთიანი სახელმწიფოს შექმნაზე, მაგრამ რუსეთის კალთის ქვეშო.

***— რუსეთის გეგმას ახდენა თუ უწერია, ასეთი განწყობები არის?***

— არა მგონია. საქართველოში ამისთვის ნოყიერი ნიადაგი არ არის. სოციოლოგიურ გამოკითხვებში პრორუსულ პარტიას პულსიც კი არ ესინჯება. სოციოლოგიური გამოკითხვების გარეშეც ჩანს, რომ საქართველოში ისეთი სოციალურ-პოლიტიკური განწყობები არ არის, რომ რუსეთის შემოთავაზებებს ხორცი შეესხას. ამიტომ ამ მხრივ სერიოზულ საფრთხეს ვერ ვხედავ.

თუმცა, ამ თემის უგულებელყოფა არ შეიძლება. თუ, დავუშვათ, ჩვენი ევროპელი პარტნიორების მხრიდან გაგრძელდება ისეთი ქმედებები, როგორსაც საქართველოს მიმართ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ჰქონდა (ვგულისხმობ უსამართლო რეზოლუციებს, ზეწოლასა და სააკაშვილის სახელის მიბმას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებასთან), ეს ჩვენი საზოგადოების უმრავლესობაში უკმაყოფილებისა და უსამართლობის განცდას გამოიწვევს.

ეს კი ნოყიერ ნიადაგს ქმნის იმისათვის, რომ საქართველოში ევროსკეპტიკური განწყობები გაღვივდეს.

***— რაც უნდა გვიბიძგონ, რუსეთთან მაინც ვერ მიგვიყვანენ, მაგრამ რყევებს მაინც იწვევს.***

— გარკვეულწილად, კი.

# ოთარ ანგურიძე: „ვერცერთმა სახელმწიფო მეთაურმა ვერ შეძლო, ასე სტაბილურად შეენარჩუნებინა მაღალი ეკონომიკური ზრდა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ნიების გარკვეულმა ნაწილმა არ გამოიყენოს მათი დომინანტური მდგომარეობა ბოროტად და ჩვენი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის ხარჯზე არ მოახდინონ საკუთარი გამდიდრება, – დასძენს ოთარ ანგურიძე.

ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში ოთარ ანგურიძემ შავი ზღვის კაბელის პროექტის მნიშვნელობაზეც ისაუბრა და დასძინა, რომ ეს პროექტი ქვეყანას ძალიან დიდ უცხოურ ინვესტიციებს მოუტანს.

მისი თქმით, ეს პროექტი პრემიერ ღარიბაშვილს ჩაეწერება, როგორც მისი პრემიერობის ერთ-ერთი გამორჩეული ინიციატივა.

– ეს არის ისტორიული პროექტი და ეს პროექტი პრემიერ ღარიბაშვილს ჩაეწერება, როგორც მისი პრემიერობის ერთ-ერთი გამორჩეული ინიციატივა, რომლითაც რეგიონში ჩვენი ქვეყანა მოიტანს ერთ-ერთ წამყვან და დომინანტურ მდგომარეობას, რადგან მთავარი ნაწილი მაინც ჩვენს ქვეყანაზე გავა და ჩვენი ქვეყნიდან მოხდება შავ ზღვაში ამ კაბელის ჩადება.

აქედან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის როლი ამ კაბელის შექმნით და მერე ამ ელექტროენერგიის გატარებით უფრო მეტად გაიზრდება. ეს კაბელი, პირველ რიგში, ქვეყანას მოუტანს ძალიან დიდ უცხოურ ინვესტიციებს, მეორე, ქვეყანას მოუტანს პოლიტიკურ სტაბილურობას, რადგან ეს იქნება სტრატეგიული დერეფანი ელექტროენერგიის და, შესაბამისად, აბსოლუტურად ყველა მხარის, ვინც იქნება ამ პროექტში ჩართული, ყველას ინტერესში იქნება, ჩვენს ქვეყანაში იყოს მშვიდობა, სტაბილურობა და, რა თქმა უნდა, როლი ჩვენი ქვეყნისა კიდევ უფრო გაიზრდება და უფრო მეტს გაიგებს ჩვენი ქვეყნის შესახებ საერთაშორისო თანამეგობრობა და უფრო მეტად მოიზიდავს უცხოურ კაპიტალს ჩვენს ქვეყანაში, – აცხადებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში.

# ბელგიაში ქართველი პატიმარი დაიღუპა



ბელგიაში თავშესაფრის მაძიებელი საქართველოს მოქალაქე გარდაიცვალა. 40 წლის ქართველი მამაკაცი ანტვერპენის ოლქში მდებარე დაკავების ცენტრში იმყოფებოდა. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, მამაკაცი თავშესაფრის მიღებას და საფრანგეთში დაბრუნებას ცდილობდა, სადაც მას ოჯახი ჰყავს, თუმცა საფრანგეთის შესაბამისი უწყებები ამის უფლებას არ აძლევდნენ. ამ ფაქტის გამო, ის ბოლო 3 კვირის განმავლობაში პროტესტის უკიდურეს ფორმას, შიმშილობას მიმართავდა და ის სამედიცინო პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, დაკავებული გარდაცვალებამდე ნახევარი საათით ადრე შემოწმდა და მისი ჯანმრთელობის გაუარესებაზე არაფერი მიანიშნებდა. ბელგიელი ექიმების დასკვნით, პატიმარი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.

# ავარიული სახლების ჩანაცვლების პროექტები აქტიურად მიმდინარეობს



დედაქალაქის მერ კახა კალაძის განცხადებით, ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

როგორც მან თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, რიგით მეოთხე პროექტი – ვარკეთილის მე-3 მასივის მე-4 კვარტალში განხორციელდება. აღნიშნულ კორპუსში 36 ოჯახი ცხოვრობს და მათ უახლოეს მომავალში სრულიად ახალი, მოწესრიგებული ბინები ჩაჰბარდებათ.

– ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში, ვარკეთილის მესამე მასივში კიდევ ერთი, რიგით მეოთხე პროექტი განხორციელდება. დაგეგმილია მე-4 კვარტლის მე-6 კორპუსში 4-სართულიანი ავარიული სახლის დემონტაჟი და მის ადგილას 10-სართულიანი შენობა-ნაგებობა აშენდება. 36 ოჯახი უმძიმეს პირობებში ცხოვრობდა. მათთან შეთანხმების შემდეგ კი სრულიად ახალი კორპუსი აშენდება. აღნიშნულ მისამართზე უკვე მიმდინარეობს კონცეპტუალური დიზაინ-პროექტისა და დეტალური საინჟინრო-საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. ამის შემდეგ გამოვაცხადებთ ტენდერს და მასში ყველა დაინტერესებულ კომპანიას შეეძლება, მონაწილეობა მიიღოს, – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, ამავე პროგრამის ფარგლებში, ასევე, აქტიურად მიმდინარეობს პირველი საპილოტე პროექტი, რომელიც ვარკეთილის მე-3 მასივის მე-7 კვარტალში ხორციელდება.

– რაც შეეხება ვარკეთილის მე-3 მასივის მე-7 კვარტლის მე-12 კორპუსს, მოსახლეობასთან შეთანხმებით, სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. უკვე მოხდა კორპუსის დემონტაჟი და აღნიშნულ ტერიტორიაზე მოეწყობა ახალი, თანამედროვე შენობა-ნაგებობა. 36 ოჯახი მერიას ქირით ჰყავს გაყვანილი. სამუშაოების დასრულების შემდეგ ისინი ახალ და მოწესრიგებულ ფართებში დაბრუნდებიან, – აღნიშნა თბილისის მერმა.

რაც შეეხება ისტორიულ უბნებში მდებარე ავარიულ სახლებს, კახა კალაძის თქმით, მათზე აღნიშნული წესი არ მოქმედებს, თუმცა, უახლოეს პერიოდში მუნიციპალიტეტი შეიმუშავებს გეგმას, თუ როგორი წესით უნდა მოხდეს მსგავს ზონებში ავარიული შენობების მოწესრიგება-რეაბილიტაცია.

– ზოგადად, ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანია. ვისაც ანალოგიური პრობლემა გაწუხებთ, მძიმედ ავარიულ შენობებში ცხოვრობთ, მიმართეთ თქვენივე რაიონის გამგეობას. ასევე, გვაქვს მსგავსი პრობლემა ისტორიულ უბნებში, სადაც შენობები ავარიულია. დავალება მიცემული გვაქვს და უახლოეს პერიოდში წარმოვადგენთ გეგმას, თუ როგორ ვხედავთ ისტორიულ ზონებში შენობა-ნაგებობების მოწესრიგება-რეაბილიტაციას, – განაცხადა თბილისის მერმა.

# ბელარუსის „პრეზიდენტმა“ თავისი აფხაზი კოლეგა მიიღო



ბელარუსის თვითმარქვია პრეზიდენტმა ლუკაშენკომ თავისი აფხაზი კოლეგა ბჟანია მიიღო. საუბრის ძირითადი თემა ბელარუსსა და აფხაზეთს შორის თანამშრომლობა იყო. ლუკაშენკომ თავის ტელეინტერვიუში აღნიშნა, რომ ბელარუსი აფხაზეთთან თანამშრომლობით დაინტერესებულია.

– არ მესმის, რად იწვევს საქართველოს მწვავე რეაქციას ჩემი შეხვედრები აფხაზეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებთან! – თქვა ლუკაშენკომ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# ადვოკატი: „დაზარალებულები ვერ ახდენენ იდენტიფიცირებას, რომ ნამდვილად ბადრი ესებუა იყო მძარცველი“

„საქართველოს ბანკის“ დაყაჩაღებაში ბრალდებულ ბადრი ესებუას ადვოკატი ალექსანდრე კობაიძე აცხადებს, რომ გუშინდელ სხდომაზე დაზარალებულებმა ვერ მოახდინეს მძარცველის იდენტიფიცირება.

მისივე თქმით, აქვს განცდა, რომ ბრალდების მხრიდან „შეგნებულად ხდება ბადრი ესებუას დისკრედიტაცია“.

საქმეზე შემდეგი სასამართლო პროცესი 1-ელ მარტს, 11:00 საათზე ჩატარდება.

– ბრალდება იმ ბრალდებაზე აპელირებს, რაც წარდგენილი აქვს ბადრი ესებუას. ბრალი არის აბსტრაქტული, არ არის კონკრეტული, რადგან დაზარალებულები მოდიან და იდენტიფიცირებას ვერ ახდენენ, რომ ნამდვილად ბადრი ესებუა იყო ის მძარცველი, რომელიც (ბანკში) იყო. ასევე ამბობენ, რომ მძარცველი, რომელიც იყო არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავდა პოზიციას, რომ მაგალითად ტერორისტულ აქტს ჩადიოდა, რომ ეს ადამიანი სახელმწიფოსგან რამეს ითხოვდა, არცერთ მოწმეს არ დაუფიქსირებია. შესაბამისად, დანარჩენი უკვე შეფასებითია და, დარწმუნებული ვარ, როდესაც სასამართლო შეაფასებს, სასამართლო მივა იქამდე, რომ აქ ტერორისტულ აქტთან არ გვაქვს კავშირი, რადგან მსგავსი რამ არ არსებობს. მაქსიმუმ იყოს ყაჩაღობის მუხლი. თუმცა, კიდევ ერთხელ განვმარტავ, ბადრი ესებუასთან დაზარალებულების არანაირი შეხება არ ფიქსირდება, – განაცხადა ალექსანდრე კობაიძემ.



ცნობისთვის, ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ შენობაში შეიარაღებული ბადრი ესებუა 2020 წლის 21 ოქტომბერს შეიჭრა. მას მძევლად 40-ზე მეტი მოქალაქე ჰყავდა აყვანილი და მათი გათავისუფლების სანაცვლოდ 500 ათას აშშ დოლარსა და უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვდა. თანხის გადაცემის შემდეგ თავდამსხმელმა გაქცევა მოახერხა. ბადრი ესებუა მიმდინარე წლის 8 თებერვალს დააკავეს. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 323-ე და 329-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ტერორისტულ აქტს, მძევლად ხელში ჩაგდებას ტერორისტული მიზნითა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

# ბადრი ესებუა პროკურორებს: „ხელოვნურად ნუ დაამძიმებთ მოწმის ემოციურ მდგომარეობას“

– ხელოვნურად ნუ დაამძიმებთ მოწმის ემოციურ მდგომარეობას, – ასე მიმართა „საქართველოს ბანკის“ ყაჩაღობაში ბრალდებულმა ბადრი ესებუამ საქმის პროკურორებს.

– ეს მოწმე რომ დავინახე, ძალიან დადებითი ემოციითაა და პროკურორები ცდილობენ, რაღაცნაირად დაამძიმონ, ერთი ორჯერ შევნიშნე და მე ვფიქრობ, რომ უნდა გავუფრთხილდეთ ემოციებს, – აღნიშნა ესებუამ.

ესებუას ამ განცხადების შემდეგ ბრალდების მხარემ სასამართლოს მოწმეების მოხსნის შუამდგომლობით მიმართა, რასაც დაცვის მხარე არ დაეთანხმა.




– ვერ მივხვდი, ეს ირონიული შუამდგომლობაა თუ რეალური, მაგრამ ფაქტია, რომ თქვენივე მტკიცებულებებია, ქალბატონო მირანდა და, შესაბამისად, თქვენ გაქვთ იმის უფლება, რომ არცერთი მოწმე არ მოიყვანოთ. ბრალდებული საუბრობს, რომ ემოციური ფონია, რომ ეს ემოციური ფონი არ გვინდა სასამართლოს და ამ შემთხვევაში საზოგადოებას ვანახოთ, – განაცხადა ალექსანდრე კობაიძემ.

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

ცნობისთვის, ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ შენობაში შეიარაღებული ბადრი ესებუა 2020 წლის 21 ოქტომბერს შეიჭრა. მას მძევლად 40-ზე მეტი მოქალაქე ჰყავდა აყვანილი და მათი გათავისუფლების სანაცვლოდ 500 ათას აშშ დოლარსა და უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვდა. თანხის გადაცემის შემდეგ თავდამსხმელმა გაქცევა მოახერხა. ბადრი ესებუა მიმდინარე წლის 8 თებერვალს დააკავეს. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 323-ე და 329-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ტერორისტულ აქტს, მძევლად ხელში ჩაგდებას ტერორისტული მიზნითა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

# სასამართლომ განზრახ მკვლელობაში ბრალდებულს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა



რუსთავის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ერთხმად ცნო დამნაშავედ.

პროკურატურის ინფორმაციით, ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2022 წლის 14 ივლისს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე ქესალოში, ბრალდებულმა წარსულში არსებული უთანხმოების გამო, შურისძიების მოტივით, სანადირო თოფიდან გასროლით დაზარალებულს სიცოცხლისთვის საშიში, მძიმე ხარისხის დაზიანება მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული ჭრილობის შედეგად დაზარალებული საავადმყოფოში მიყვანიდან მალევე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული 15 ივლისს დააკავეს და სასამართლომ მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

ნაფიცი მსაჯულების მიერ გამოტანილი ვერდიქტის საფუძველზე სასამართლომ ბრალდებული სრულად ცნო დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) და სასჯელის სახედ და ზომად 12 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

# ვინ არიან „ბუფალო“, „კუდალა“ და კიდევ 2 პირი, რომლებიც დიდი ოდენობით ქონების ჯგუფურად გამოძალვისთვის დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე წარსულში ნასამართლევი 4 პირი დააკავეს. უწყების ცნობით, დიდი ოდენობით ქონების ჯგუფურად გამოძალვის და ჯგუფურად ჩადენილი ძალადობის ფაქტზე დაკავებული არიან: 1980 წელს დაბადებული ლ.ღ. და 1977 წელს დაბადებული ა.ჩ. (მეტსახელად „ბუფალო“), ხოლო მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის – 1979 წელს დაბადებული ლ.ბ. (მეტსახელად „კუდალა“). ასევე, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით – 1971 წელს დაბადებული გ.მ.



შსს ამბობს, რომ ბრალდებულები ემუქრებოდნენ პ.ჩ.-ს მისი და მის ოჯახის წევრების წამებით, დაწვითა და ლიკვიდაციით, ასევე, ფიზიკურად ძალადობდნენ მასზე.

– გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა – ა.ჩ.-მ და ლ.ღ.-მ 2023 წლის 20 იანვარს ნაცნობი – პ.ჩ. მოტყუებით მიიყვანეს ზაჰესში მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში, სადაც გადასცეს 300 გრამი ნარკოტიკული საშუალება, მისი რეალიზებისთვის 2 კვირის ვადა მისცეს და ნარკოტიკის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის გადაცემა მოსთხოვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი პ.ჩ.-ს ოჯახის წევრების სიცოცხლის ხელყოფით დაემუქრნენ.

ვინაიდან პ.ჩ.-მ არ შეასრულა ბრალდებულების მოთხოვნები, ა.ჩ.-მ და ლ.ღ.-მ იგი ძალის გამოყენებით, ავტომანქანით წაიყვანეს დიღომში, რომელსაც ლ.ბ. მართავდა. გზაში ბრალდებულები ემუქრებოდნენ პ.ჩ.-ს მისი და მის ოჯახის წევრების წამებით, დაწვით და ლიკვიდაციით, ასევე, ფიზიკურად ძალადობდნენ მასზე. მოძალადეებმა პ.ჩ. იმ პირობით გაუშვეს, რომ რამდენიმე დღეში ა.ჩ.-ის საბანკო ანგარიშზე 20.000 ლარი უნდა ჩაერიცხა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას, მის მცირეწლოვან შვილს, მეუღლესა და დედას ფიზიკურად გაანადგურებდნენ.

ლ.ბ.-მ, რომელიც შეესწრო ა.ჩ.-სა და ლ.ღ.-ს მიერ ჩადენილ დანაშაულს, სამართალდამცველებს მომხდარის შესახებ არ შეატყობინა, – წერია უწყების განცხადებაში.

პოლიცია ამბობს, რომ მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესთან შემხებლობაში მყოფი პირის გ.მ.-ის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღეს დიდი ოდენობით „მარიხუანა“.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 126-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 376-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 260-ე მუხლით, რაც გულისხმობს დიდი ოდენობით ქონების ჯგუფურად გამოძალვას, ჯგუფურად ჩადენილ ძალადობას, მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობასა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვას.

# გიული ალასანია: „დამისაბუთონ, სად მაქვს და რა მაქვს მოხვეჭილი. თვითონ რამდენი აქვთ მოხვეჭილი, ის დაითვალონ“

– დამისაბუთონ, სად მაქვს და რა მაქვს მოხვეჭილი. თვითონ რამდენი აქვთ მოხვეჭილი, ის დაითვალონ, – ასე გამოეხმაურა საქართველოს მესამე პრეზიდენტის დედა გიული ალსანია პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებას, რომ „მიხეილ სააკაშვილის ოჯახს ხალხის ხარჯზე მარტო საქართველოში 170 მილიონის ქონება მოხვეჭილი აქვს.“



ყოფილი პრეზიდენტის დედა უმრავლესობის ლიდერს მოუწოდებს, არა სიტყვიერად, არამედ საბუთებით დაუდასტუროს მის მიერ ნათქვამი სიტყვები.

– ძალიან ვცდილობდი, რომ შენიღბული ვყოფილიყავი და ეს არ გამემხილა. ყოჩაღ კობახიძეს, რომ ეს მაინც აღმოაჩინა, დამნაშავე! რომელი ქართველი ხალხის ხარჯზე მაქვს მოხვეჭილი, ძალიან მაინტერესებს და დამისაბუთონ, აბა, საბუთებით დამისაბუთონ, სად მაქვს და რა მაქვს მოხვეჭილი. თვითონ რამდენი აქვთ მოხვეჭილი, ის დაითვალონ, ყველა, ვინც ახლა მოვიდა, – განაცხადა გიული ალასანიამ.

ასევე, ექსპრეზიდენტის დედა გამოეხმაურა კლინიკა „ვივამედის“ ექიმების განცხადებას და აღნიშნა, რომ მიხეილ სააკაშვილთან ის საკვები მიაქვს, რისი მიღებაც მას შეუძლია.

– რას ნიშნავს, რეკომენდაციებს არ ითვალისწინებს?! ბატონი ზურაბი არის ექიმი და მან არაერთხელ მოისმინა დასაბუთება იმის, რომ ადამიანი არის მოწამლული და მის ორგანიზმში მძიმე მეტალებია. როგორ ფიქრობს, ადამიანი რამდენი თვე გაძლებს ასეთ მდგომარეობაში და ასეთი ადამიანი როგორ შეიძლება ნორმალურად იკვებებოდეს, რომლის სხეულშიც მძიმე მეტალებია. ადამიანი არის მოწამლული და ვერ იღებს საკვებს. ეს არაერთმა ექიმმა თქვა. რომელ ექსპერტებს არ უნახავთ ანალიზების პასუხები, ძალიან მაინტერესებს! ამერიკელმა ექიმებმა, ყველამ ყველაფერი ნახა, სხვათა შორის, ქართველებმაც, როგორ არ ნახეს, „ემპათიის“ ექიმებმაც ნახეს.

ახლა მოვუტანე: ქათმის ნახარში, მჭადი, ვაშლის ალადები, შოკოლადი, პური, კიტრი. მე კალორაჟი არ გამიზომია, მე ვიცი, ჩემს შვილს რა შეუძლია მიიღოს. იმაზე მეტს ვერ იღებს! ამასაც ვერ იღებს ხოლმე სწორედ იმავე მიზეზით, რომ მოწამლულია. ზონდით არ იღებს საკვებს და მორჩა, – განმარტა ალასანიამ.

ცნობისთვის, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის ოჯახს მარტო საქართველოში 170 მილიონის ქონება აქვს ხალხის ხარჯზე მოხვეჭილი, ასევე აშშ-ში აქვთ არაერთი ბინა და უძრავი ქონება ნაყიდი.

მისი თქმით, „მიხეილ სააკაშვილის ოჯახი არის ჩვეულებრივი კორუმპირებული, ღირსებისგან დაცლილი და არც ისაა გასაკვირი, რომ საკუთარ შვილთან და ძმასთან არ მიაქვთ სათანადო კალორაჟის საკვები“.

## კალეიდოსკოპი

# ექვსი წლის გოგონამ ბებიას პისტოლეტიდან ესროლა



აშშ-ში საავადმყოფოში მოათავსეს ქალი, რომელსაც საკუთარმა ექვსი წლის შვილიშვილმა შემთხვევით პისტოლეტიდან ესროლა.

აღნიშნული ინციდენტი ფლორიდის შტატის ქალაქ ნორტ-პორტში 16 თებერვალს მოხდა. სასწრაფო დახმარება 57 წლის ადგილობრივმა მცხოვრებმა გამოიძახა, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჭრილობა ზურგის ქვედა ნაწილში ჰქონდა მიყენებული. როგორც გაირკვა, მას საკუთარმა შვილიშვილმა ესროლა.

გოგონა ბებიის ავტომობილის უკანა სავარძელზე იჯდა და მძღოლის სავარძლის ჯიბეში დამალულ პისტოლეტს მიაგნო. მან იარაღი ხელში აიღო და ჩახმახს თითი გამოჰკრა. გაისმა გასროლის ხმა, ტყვიამ სავარძლის საზურგეში გაიარა და მოხვდა ქალს, რომელიც იმ მომენტში ავტომობილს მართავდა.

ქალმა მანქანის სახლამდე მიყვანა და შემდეგ სასწრაფო დახმარების გამოძახება მოახერხა. დაშავებული ქალი შვეულმფრენით საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. ამ დროისთვის მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

ქალაქ ნორტ-პორტის პოლიციის უფროსის განცხადების თანახმად, შესაძლოა ინციდენტი უარესი შედეგით დასრულებულიყო როგორც თავად დაშავებულის, ისე მისი შვილიშვილისთვის. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა გოგონას და თვითმხილველების გამოკითხვის შედეგად დაასკვნეს, რომ საქმე შემთხვევით გასროლასთან ჰქონდათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# რუსეთმა სნვ-3-ის შეთანხმება შეაჩერა



ვლადიმერ პუტინის მიმართვას ფედერალური საბჭოსადმი ყველა მოუთმენლად ელოდა. ფონი, რომელზეც ეს მიმართვა შედგა, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო იყო. მთელი დონბასის ოკუპაცია, რომელზეც პუტინმა ჯერ კიდევ ამა წლის იანვარში განაცხადა, არ შედგა. რუსული არმია გაიჩხირა ბახმუტთან, უგლედართან, სოლედართან, რომელიც დაინგრა. უკრაინელი მეომრები სოლედარის გარეუბნებში გამაგრდნენ და ქალაქის ცენტრში მყოფ რუსებს მოსვენებას არ აძლევენ. დონბასის ფრონტმა იმდენი ძალისხმევა მოითხოვა, რომ დაგეგმილი შეტევა ბელარუსიდან დასავლეთ უკრაინის მიმართულებით ან ყირიმიდან ხერსონ-ზაპოროჟიე-ოდესისაკენ არ შედგა. რუსეთის დანაკარგებმა ომში უკვე 144.000-ს გადააჭარბა.

– პუტინი აპირებდა კიევის სამ დღეში აღებას, ომი კი უკვე ერთი წელი გრძელდება, – აცხადებს უკრაინელი სამხედრო ექსპერტი ოლეგ ჟდანოვი.

გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, სპეციალისტები ფიქრობდნენ, თუ რა უნდა თქვას პუტინმა ფედერალური საბჭოსადმი მიმართვაში. ერთნი ვარაუდობდნენ, რომ ბელარუსის ანექსია გამოცხადდებოდა, მეორენი აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის რუსეთთან შეერთებაზე ლაპარაკობდნენ. ორივე ვარიანტი კრემლისათვის წამგებიანი იყო. აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება აშკარად აცხადებდა, რომ რუსეთი მათი მფარველი და მეგობარია, მაგრამ მის შემადგენლობაში შესვლა არ სურს. ბელარუსის თვითმარქვია პრეზიდენტი ლუკაშენკო რუსეთთან „ინტეგრაციის“ გაღრმავებასთან დაკავშირებით აშკარად ფეხს ითრევდა. სამხრეთი ოსეთის ანექსია კი საქართველოსთან ურთიერთობის დაძაბვას გამოიწვევდა.

პუტინმა გამოსავალი მოძებნა. მან მთელი რისხვა შორეულ ამერიკას დაატეხა. რუსეთის დიქტატორმა დაადანაშაულა აშშ რუსეთ-უკრაინის ომის გაჩაღებაში, უკრაინისაგან „ანტირუსეთის“ შექმნასა და უკრაინის შეიარაღებაში. მეტიც, მან დაიწყო იმის მტკიცება, რომ აშშ თურმე ებრძვის მართლმადიდებლობას, ნერგავს მთელ მსოფლიოში გარყვნილებას, ჰომოსექსუალიზმსა და ა.შ. რუსეთის დიქტატორის აზრით, აშშ ყოველივე ამას თურმე ძალის გამოყენებით ავრცელებს და ცდილობს, ისინი რუსეთსაც თავს მოახვიოს.

– ჩვენი სამშობლო, ჩვენი მოქალაქეები საფრთხეში არიან! – გამოაცხადა პუტინმა.

გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, რუსეთის დიქტატორმა შეთანხმება სნვ-3 (სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე) შეჩერებულად გამოაცხადა.

– რუსეთი არ გადის ამ შეთანხმებიდან. ჩვენ მას მხოლოდ დროებით შევაჩერებთ, – თქვა პუტინმა.

ამრიგად, სენსაცია შედგა. მარცხი უკრაინაში პუტინმა არა ბელარუსის, აფხაზეთის ან სამხრეთი ოსეთის ანექსიით, არამედ აშშ-ზე შეტევით გადაფარა. სნვ-3-ის შეჩერებით შეიქმნა სრულიად ახალი გეოპოლიტიკური ვითარება. მეორე ცივი ომი, რომელიც ყირიმის ანექსიით დაიწყო, გამწვავდა.

– პუტინის გადაწყვეტილება უპასუხისმგებლოა, – ამბობს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ბლინკენი.

რუსეთის დიქტატორი ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმაც გააკრიტიკა. მან თქვა, რომ შეიქმნა სრულიად ახალი საერთაშორისო ვითარება და მთელი მსოფლიო ახალი გლობალური დაპირისპირების წინაშე დადგა. ამრიგად, კვლავ დაეშვა რკინის ფარდა რუსეთსა და დემოკრატიულ სამყაროს შორის.

რომელ მხარეს აღმოჩნდება ამ დაპირისპირებაში საქართველო?!

## აშშ-ის პრეზიდენტმა რუს ხალხს მიმართა



ვარშავაში გამოსვლისას პრეზიდენტმა ბაიდენმა რუს ხალხს მიმართა. მან ხაზი გაუსვა, რომ აშშ-ს რუსეთზე თავდასხმა არ სურს.

– სიცრუეა იმის მტკიცება, თითქოს აშშ-ს რუსეთის დაპყრობა სურს, – თქვა პრეზიდენტმა.

ბაიდენმა აღნიშნა, რომ რუსების უმრავლესობას მშვიდობა სურს. ომი უკრაინაში პუტინმა გააჩაღა. დაძაბულობაც რუსეთ-აშშ-ს შორის პუტინის პოლიტიკამ გამოიწვია.

## დონბასში ვითარება უცვლელია



რუსმა ოკუპანტებმა ვერცერთი მიმართულებით ვერ წაიწიეს წინ. მეტიც, ბახმუტთან უკრაინელებმა წარმატებული კონტრშეტევა განახორციელეს და ოკუპანტებს ბახმუტის სამხრეთი გარეუბნებიდან უკან დაახევინეს. ცოტა ხნის წინ იქ მდგომარეობა კრიტიკული იყო.

რუსი ოკუპანტები ვარაუდობდნენ, რომ 21 თებერვლისათვის, პუტინის ფედერალური საბჭოსადმი მიმართვის დღეს, ბახმუტის ქუჩებში სურათი გადაეღოთ. ეს ჩაიშალა.

გრძელდება ბრძოლები ავდეევკასთან, სოლედართან, მარინკასთან, უგლედართან. ვერცერთი მიმართულებით ოკუპანტებმა ვერ შეძლეს წინ წაწევა.

## ბრძოლები უკრაინის სამხრეთ რეგიონში

უკრაინის სამხრეთ რეგიონში ბრძოლებია. რუსმა ოკუპანტებმა ხერსონისაკენ დესანტის გადასხმა ცადეს. უკრაინელებმა დესანტი გაანადგურეს. ოკუპანტების რიგებში დიდი დანაკარგებია. მარცხით გაბოროტებულმა რუსებმა ხერსონს ქვემეხები დაუშინეს. ერთ-ერთი ჭურვი ავტობუსის გაჩერებასთან აფეთქდა. დაიღუპნენ მშვიდობიანი მოქალაქეები.

## დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

თავის დროზე ვლადიმერ პუტინი აცხადებდა, რომ კიევს სამი დღის განმავლობაში აიღებდა. დღეს, ომის დაწყებიდან ერთი წლის თავს პუტინი შეხვდა დაღუპული და დაბნეული რუსი ჯარისკაცებით.

ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია:

ტანკები – 3.326; ББМ – 6.562; არტილერია – 2.338; ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი საშუალებები – 243; თვითმფრინავები – 299; ვერტმფრენები – 287; სპეციალური ტექნიკა – 226;

განადგურებულია 144.440 ოკუპანტი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# გოგა ბითაძე დებიუტის მოლოდინშია



საქართველოს ნაკრების ცენტრი გოგა ბითაძე ნბა-ში მეოთხე სეზონს ატარებს. ვერ ვიტყვით, რომ აქამდე წარმატებული კარიერა ჰქონდა, რადგან ინდიანა პეისერში დიდი დრო არ ეძლეოდა. მეტიც, ინდიანაპოლისელებმა გუნდიდან გაუშვეს. თუმცა, უგუნდოდ დიდი ხანი არ დარჩენილა და ორლანდო მეჯიქმა აიყვანა.

გოგამ „ჯადოქრებში“ გადასვლის შემდეგ პირველი ვარჯიში ჩაატარა და პირველ შთაბეჭდილებებზეც ისაუბრა.

**გოგა ბითაძე:**

– აგენტმა დამირეკა და მითხრა, რომ ჩემით რამდენიმე გუნდი იყო დაინტერესებული. ზუსტად არ ვიცოდი, რა იქნებოდა, მაგრამ ყველაფერი სწრაფად მოხდა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ კონტრაქტი ამ გუნდთან გავაფორმე. „მეჯიქი“ ახალგაზრდული გუნდია. ვიცნობ მათ კალათბურთელებს და გუნდის წევრებს. ასე რომ, ჩემთვის აქ თამაში მარტივი იქნება.

ამ გუნდს დიდი ნიჭი აქვს. თხუთმეტივე კალათბურთელი საკმაოდ ნიჭიერია. მეჯიქს კონკურენციის გაწევა უფრო გამოცდილი გუნდების წინააღმდეგაც შეუძლია. პირველ ვარჯიშზე ყველამ კარგად მიმიღო. როდესაც ხედავ, რომ შენი გუნდში ყოფნა უხარიათ, ეს ძალიან კარგია. მე ისღა დამრჩენია, რომ ბევრი ვიშრომო.

მოსამზადებელი პერიოდი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან უნდა შევეწყო თანაგუნდელებს, მწვრთნელებს, ტაქტიკას.

ნბა-ში ჩემი მეოთხე წელია. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ, რომელსაც თავდაუზოგავად მუშაობა უყვარს. ვფიქრობ, სამწამიანში საკმაოდ დომინტანტური ვარ, ფარს კარგად ვიცავ. ჩემი აზრით, სრული პოტენციალი ჯერ კიდევ არ გამომივლენია. შემიძლია გუნდს გამარჯვების მოპოვებაში დავეხმარო. ევროპაში, სადაც მე გავიზარდე, არავის აინტერესებს, რამდენ ქულას ჩააგდებ, მთავარია, გუნდს გამარჯვება მოუტანო, მე კი მგონია, რომ ამის გაკეთებას შევძლებ.

სამწვრთნელო შტაბი ყურადღებას უმნიშვნელო დეტალებსაც აქცევს. მწვრთნელი ყველაფერს ძალიან კარგად აკეთებს.

უნდა გავაკონტროლო ჩემი სამუშაო, შევინარჩუნო ორგანიზმის ბალანსი და მზად ვიყო ყველაფრისთვის, რაც წინ მელოდება. ამის შემდეგ, იმედი მაქვს, რომ ყველა დაინახავს იმას, თუ როგორი მშრომელი ვარ. ეს ყველაფერია რისი გაკეთებაც შემიძლია და როდესაც შესაძლებლობა მომეცემა, 100%-ით დავიხარჯები.

ორლანდოს უახლოესი მატჩი 24 თებერვალს დეტროიტ პისტონსთან აქვს და ქართველი კალათბურთელის დებიუტს იმ მატჩში ველოდებით...

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

საზოგადოება

# უსინათლოთა კულტურის ცენტრიდან კიდევ ერთი თანამშრომელი გაუშვეს

უსინათლოთა კულტურის ცენტრში თანამშრომელთა სამსახურიდან დათხოვნა გრძელდება. ცენტრის დირექტორმა ანსამბლიდან ნათია (ფოტინე) ხუროშვილი დაითხოვა.

**ინფორმაცია ცენტრის ყოფილმა ხელმძღვანელმა ცირა ვეფხვაძემ გაავრცელა:**

– უსინათლოთა კულტურის ცენტრის ახალგამოჩეკილმა დირექტორმა თამარ კადნიერმა მორიგი „წარმატებული ნაბიჯი“ გადადგა და სამსახურიდან მე-11 თანამშრომელი დაითხოვა. როგორც გახსოვთ, შარშან მისმა წინამორბედმა საშკა (იუდა) ლაბაძემაც სწორედ ამდენივე ადამიანი გაათავისუფლა. თამარ მეტისმეტმა ამბიციურმა თქვა: „თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო“ და ახლა ბარი ბარში არიან. ცალქალამანიძეს „ბრძნულ“ მოქმედებაში ზურგს აქეთ უსინათლოთა კავშირის გამგეობა უმაგრებს, იქით – შემოსავლების სამსახური, რომლის ხელმძღვანელმა ლევან ბერაძემ ბრძანა, ჩვენს თანამშრომელ ცალქალამანიძეს სხვა ანაზღაურებად სამსახურში მუშაობის შეუზღუდავი უფლება აქვსო. ისე, თუ შემოსავლების სამსახური ხელფასს კულტურის ცენტრში ხალხის გასათავისუფლებლად გამოცემული ბრძანებების დაწერაში უხდის თამარს, ეგებ მისგან ულვთოდ გამეტებული ადამიანები შეეწყნარებინა და ხელფასი მათთვისაც დაენიშნა, უფრო მადლი არ იქნებოდა?

ახლა გათავისუფლებულ ნათია (ფოტინე) ხუროშვილზე ვთქვათ: იგი შარშან მიიღეს ანსამბლში, მალე საკონცერტო ფორმაც შეუკერეს. დეკემბერში თამარ „ნოვატორმა“ შურისძიება, ერთი მხრივ, რეორგანიზაციით დაიკმაყოფილა, თუმცა ცენტრის შემოსავალი 63 ათასი ლარით გაიზარდა, მეორე მხრივ, ქალთა ანსამბლში კონკურსი ჩაატარა და ორი პროფესიონალი თავიდან მოიშორა. სხვათა შორის, იმ კონკურსზე ისეთი „გამოცდილი“ კონცერტმაისტერი მოიწვია, გამებსაც კი შეცდომით უკრავდა. ასე იყო თუ ისე, ნათიამ საკმაო ქულები დააგროვა და მე-4 ადგილზე გავიდა. იანვარში დირექტორმა 6-თვიანი ხელშეკრულებაც დაუდო, ორ თვეში კი, ხარვეზები ვერ გამოასწორეო და გაათავისუფლა. თუ ასეთი სუსტი იყო ხუროშვილი, ან კონკურსზე მე-4 ადგილი როგორ აიღო, ან იანვარში ხელშეკრულება რატომღა გაუფორმეს?

თამარ დაუცხრომლის მორიგი მსხვერპლი ალბათ ლელა ვეფხვაძე იქნება, რომელმაც, რაგინდ გაგიკვირდეთ, იმ კონკურსზე ყველაზე ნაკლები ქულა დააგროვა. ამას დირექტორის ოფიციალური საყვედურიც დაემატა, მატყუარა რატომ მიწოდეო, თან დაემუქრა, კიდევ ერთ საყვედურს დაგიწერ და სამსახურიდან გაგიშვებო. მერე ლელა თავს იმართლებდა, არასამუშაო დროს გითხარი, სამსახურში ხომ არ მითქვამსო.

ხელისუფალნო, კანონის დამცველნო, უსინათლოთა კულტურის ცენტრი არასამთავრობო ორგანიზაცია კია, მაგრამ ამდენ უკანონობას ზღვარი არ უნდა დაედოს?!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

კალეიდოსკოპი

## მამაკაცი ძაღლის გადასარჩენად ფოცხვერს შეებრძოლა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ორლანდოს მკვიდრი შეებრძოლა ფოცხვერს, რომელიც მისი ქალიშვილის კუთვნილ ძაღლს თავს დაესხა და მისი გადარჩენა შეძლო.

პოლ ბროდჰერსტი ნაკრძალის მახლობლად ცხოვრობს. დილით მამაკაცი თავისი ქალიშვილის ძაღლს, სახელად კოდს, ასეირნებდა. მოულოდნელად შინაურ ცხოველს თავს ფოცხვერი დაესხა. მამაკაცი კოდს მიეხმარა და მისგან მტაცებლის მოშორება მოახერხა.

– ფოცხვერმა ძალიან მაგრად დამკაწრა და იძულებული გავხდი, მისთვის მუშტი ხახაში ჩამერტყა, რათა თავს აღარ დამსხმოდა. ამის შემდეგ მტაცებელი გატრიალდა და ბუჩქებში მიიმალა, – აღნიშნა ბროდჰერსტმა.

შტატის ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტში განაცხადეს, რომ აღნიშნული ინციდენტის გამოძიებას დაიწყებენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

განცხადებები

● ალკოჰოლიზმის და ნარკომანიისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, აგრესია, შიშები, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, ძილის პროცესების დარღვევა, მოუსვენრობა, შფოთვა. ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 595 129 129. მის: ალმაშენებლის 154.

● ძვალ-სახსართა სისტემის პრობლემების მოგვარება: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, კოქსართრიტი, ხრტილოვანი და ძვლოვანი სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა (საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე) სისხლის მიმოქცევის და ენდოკრინოლოგიური პრობლემების მოგვარება, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ტელ: 599 96 44 94. მის: ალმაშენებლის 154.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა) ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე, გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: ალმაშენებლის 154.

● სიმაღლეში ზრდის ყველაზე სწრაფი, მარტივი და ეფექტური კურსი. შედეგად 3-5 სმ მომატება, ზრდის ზონების გააქტიურება ძვლის მკვებავი მინერალების და ვიტამინების ნაკრებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტირებული შედეგით. ტელ: 599 96 44 94. მის: ალმაშენებლის 154. მწვანე ოფისი.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ნაპოლი და რეალი მეოთხედფინალისკენ მიიწევენ



**აინტრახტი-ნაპოლი 0:2**

**ფრანკფურტი. დოიჩე ბანკ პარკი**

0:1 ოსიმენი (40), 0:2 დი ლორენცო (65)

36-ე წუთზე კვარაცხელიამ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

**აინტრახტი:** ტრაპი, ტუტა, იაკიჩი, ნდიკა, ბუტა (კნაუფი 70), კამადა, სოუ, მაქსი (ლენცი 90), ლინდსტრომი (ბორე 70), კოლო მუანი, გიოტცე (ალიდუ 81)

**ნაპოლი:** მერეტი, დი ლორენცო, რაჰმანი, კიმი, ოლივერა, ანგისა (ნდომბელე 80), ლობოტკა, ჟელინსკი, ლოზანო (ელმასი 80), ოსიმენი (სიმეონე 84), კვარაცხელია (პოლიტანო 84)

**გაძევება:** კოლო მუანი (58)

ნაპოლი ჩემპიონთა ლიგაშიც შეუჩერებელია. ლუჩანო სპალეტის გუნდმა ფრანკფურტშიც დამაჯერებლად მოიგო. ერთადერთი, რაზეც გული გვწყდება, ხვიჩა კვარაცხელიას გაცუდებული პენალტია – ჩვენებურს კევინ ტრაპმა 11 მეტრიდან დარტყმული ბურთი აუღო. თუმცა, მასპინძელთა ყველა მცდელობა, თამაში თავიანთთვის სასიკეთოდ დაესრულებინა, ამაო გამოდგა.

მართალია, ფეხბურთში ყველაფერი ხდება, მაგრამ აინტრახტი არ ჩანს ის გუნდი, რომელიც ნეაპოლში ორრაუნდიან დაპირისპირებას შემოატრიალებს. სპალეტის გუნდი ჩინებულ ფორმაშია და სულაც არ აპირებს, თავი საკუთარი გულშემატკივრების წინაშე შეირცხვინოს.

პირველი გოლი ლოსანომ და ოსიმენმა შექმნეს – მექსიკელმა ფლანგზე კარგად ითამაშა და ნიგერიელს ცარიელ კარში გაატანინა. მეორე გოლზე კი კვარამ „დახატა“ – ქუსლით პასი დი ლორენცოზე და კაპიტანმაც შეაგდო. ბილიარდივით კომბინაცია და დარტყმა იყო.

მართალია, ჩვენებურს მთლად კარგი მატჩი არ ჰქონია, პენალტის გარდა, კიდევ ერთი მომენტი ვერ გამოიყენა, მაგრამ ნაპოლის რეკორდსმენი კი გახდა. კვარა „აძურის“ პირველი ფეხბურთელია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ერთ სეზონში მინიმუმ 4 საგოლე პასი გააკეთა.

აღსანიშნავია, რომ კვარა ლიონელ მესისთან, დიეგო ჟოტასა და ჟოაუ კანსელუსთან ერთად მიმდინარე ჩემპიონთა ლიგაზე საუკეთესო მეპასეა.

გარდა ამისა, ამავე ტურნირზე ის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომელმაც მიმდინარე სეზონში მინიმუმ 5 გოლში მიიღო უშუალო მონაწილეობა (2 გოლი და 4 პასი).

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ირვინ ლოსანო**

შესანიშნავი მატჩი ჰქონდათ ლოსანოს, დი ლორენცოს, ოსიმენს. კარგი იყო აინტრახტის მეკარეც, მაგრამ ჩვენ მექსიკელი გამოვარჩიეთ. პირველ გოლზე მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულა. შეიძლება ითქვას, საკვანძო საგოლე პასი გააკეთა. აქტიური იყო მთელი მატჩის განმავლობაში.

**ლუჩანო სპალეტი:**

– მატჩი ჩვენთვის რთულად დაიწყო, მაგრამ მერე ვიპოვეთ თამაშის სწორი გაგრძელება, რასაც თავიდანვე ვგეგმავდით...

შეგვეძლო მესამე გოლის გატანაც... მიუხედავად იმისა, რომ ბედს მეტოქის კართან ვეძებდით, არ დარღვეულა ბალანსი რგოლებს შორის, რაც მნიშვნელოვანი ასპექტია...

გვადარებენ სხვა იტალიურ გუნდებს, თითქოს ჩვენ ვდომინირებთ და ვუტევთ ყველა მატჩში, მაშინ, როცა სხვა იტალიური გუნდები „კატენაჩოს“ თამაშობენ. ასე ვიტყოდი – გერმანიაში ვითამაშეთ ისე, როგორც ვიცით. მთავარი იყო, არ მიგვეცა მეტოქისთვის ბურთის კონტროლის საშუალება, რასაც ბიჭებმა მშვენივრად გაართვეს თავი...

არა მგონია, რომ შემდეგ ეტაპზე უკვე გასულები ვართ, შანსები რჩება იმდენივე, რამდენიც იყო თამაშის წინ – 50/50. საერთოდ, ევროთასებზე მატჩებში საკმარისია ერთი არასწორი მოქმედება, რომ შეიძლება ყველაფერი დაინგრეს. საპასუხო მატჩშიც დიდი მობილიზება დაგვჭირდება, რათა ფრანკფურტში დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ.

**ლივერპული-რეალი 2:5**

**ლივერპული. ენფილდ როუდი**

1:0 ნუნიესი (4), 2:0 სალაჰი (14), 2:1, 2:2 ვინისიუსი (21, 36), 2:3 მილიტაო (47), 2:4, 2:5 ბენზემა (55, 67)

**ლივერპული:** ალისონი, ალექსანდერ-არნოლდი, გომესი (მატიპი 73), ვან დაიკი, რობერტსონი, ჰენდერსონი (მილნერი 73), ფაბინიო, ბაიჩეტიჩი (ელიოტი 85), სალაჰი, გაკპო (ფირმინო 64), ნუნიესი (ჟოტა 64)

**რეალი:** კურტუა, კარვახალი, მილიტაო, რიუდიგერი, ალაბა (ნაჩო 27), ვალვერდე, კამავინგა, მოდრიჩი (კროოსი 87), როდრიგო (სებალიოსი 81), ბენზემა (ასენსიო 87), ვინისიუსი

გუნდებმა კარგი სანახაობა შემოგვთავაზეს, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ამ წყვილში ინტრიგა დაკარგულია.

ლივერპულმა კარგად დაიწყო და უკვე მე-15 წუთისთვის 2:0 დაწინაურდა. თითქოს ყველაფერი დასრულდა და რეალს საპასუხო მატჩზე უნდა ეფიქრა. თუმცა, მადრიდულმა კლუბმა საქმე არ გადადო და ყველაფერი ენფილდზე დაასრულა.

2 ბურთით ჩამორჩენილმა რეალმა 20 წუთში გაათანაბრა და გუნდი შესვენებაზე კარგ ხასიათზე გაიყვანა. მეორე ტაიმში კი გოლები მარტო რეალს გაჰქონდა – ჯერ მილიტაომ დააწინაურა, შემდეგ კი ქარიმ ბენზემამ დუბლი შეასრულა და...

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ვინისიუსი**

ბრაზილიელმა დიდებული მატჩი ჩაატარა და ყველაფერი გააკეთა, რათა რეალი თამაშში დაბრუნებულიყო. გაიტანა 2 ბურთი, ხოლო ერთხელაც საგოლედ ბენზემას უპასა.

**იურგენ კლოპი:**

– დღეს ყველაფერი აშკარა იყო. ხუთივე გოლი ჩვენივე დამსახურებით გაგვიტანეს, რაც იმას ნიშნავს, რომ თამაში ბევრად უკეთ შეგვეძლო. მიუხედავად ორი გაშვებული გოლისა, პირველი ტაიმი საუკეთესო იყო, რაც ამ სეზონში გვითამაშია. შესვენებაზე პოზიტიურად ვიყავი განწყობილი, მაგრამ მალევე მესამე გოლი გავუშვით, რამაც თამაში მთლიანად შეცვალა. იმ მომენტში ჩვენი იმპულსი დავკარგეთ და მას შემდეგ აღარც დაგვიბრუნებია. მეორე ნახევარში ის თამაში იყო, რომელიც რეალს სურდა.

მგონია, რომ ამ მომენტში ყველაფერი გადაწყვეტილია. ვნახეთ, რომ რეალი კონტრშეტევებზე ძალიან კარგი იყო. ჩვენ კი სამი გოლი გვექნება გასატანი და ეს პრობლემებს შეგვიქმნის. თუმცა ეს არ მადარდებს, რადგან მადრიდში მოსაგებად ჩავალთ. წინ რამდენიმე დღე გვაქვს, რომ ამ თამაშიდან სწორი დასკვნები გამოვიტანოთ და ჩვენი თამაში გავაუმჯობესოთ.

**კარლო ანჩელოტი:**

– ენფილდზე გამარჯვების მოპოვება მარტივი არ არის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამას ასე თავდაჯერებულად აკეთებ. ამით ძალიან კმაყოფილი ვართ. გუნდმა აჩვენა ის, რომ განვითარებას განაგრძობს და ასევე ისიც, რომ რთული იანვრის შემდეგ, თებერვალში, კარგ დონეზეა.

თავდაპირველად საკმაოდ გვიჭირდა, მაგრამ მეორე ტაიმში თამაშში გარდატეხა შევიტანეთ. ჩვენ ასეთ სტარტს არ ველოდით, მაგრამ ამ გუნდის შემთხვევაში ხშირად ასეც ხდება ხოლმე. რაც მთავარია, სიმშვიდე შევინარჩუნეთ და თამაშში დაბრუნება მოვახერხეთ.

90 წუთში უპირატესობა მოვიპოვეთ და იგივე მადრიდშიც უნდა შევძლოთ. ლივერპული ძალიან კონკურენტუნარიანი გუნდია და, სამწუხაროდ, გადაწყვეტილი ჯერ არაფერია.

როდესაც 0:2-ს ვაგებდით, მანჩესტერ სიტის წინააღმდეგ ჩატარებული ნახევარფინალური მატჩი გამახსენდა. ჩვენს თავს ვუთხარით, რომ გაგვიჭირდებოდა, თუმცა სიმშვიდე უნდა შეგვენარჩუნებინა და ჩვენი ემოციები გაგვეკონტროლებინა. ვეტერანები ამაში ყველაზე მეტად გვეხმარებიან.

## ომარ თეთრაძე: „სწრაფ, კომბინაციურ ფეხბურთს ვითამაშებთ“



25 თებერვალს ეროვნული ლიგა იწყება. დედაქალაქურ საბურთალოს ახალი მწვრთნელი ჰყავს – ომარ თეთრაძე, რომელსაც საქართველოში აქამდე არ უმუშავია და მისი დებიუტი ქუთაისის ტორპედოს წინააღმდეგ შედგება.

საბურთალო თურქული შეკრებიდან რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა, სადაც სპარინგ-მატჩები გამართა. საბურთალოს მთავარმა მწვრთნელმა კარსმომდგარ ჩემპიონატზე, თურქულ შეკრებაზე, გუნდში არსებულ მდგომარეობასა და სხვადასხვა საკითხებზე ისაუბრა.

**ომარ თეთრაძე:**

– ჯერ მცირე დროა გასული, რაც საბურთალოში ვმუშაობ. ჩემი ოფიციალური სამწვრთნელო დებიუტი რამდენიმე დღეში შედგება. მანამდე სამწვრთნელო შტაბში არავის ვიცნობდი. ანალოგიური მდგომარეობა იყო ფეხბურთელებთან მიმართებითაც.

როდესაც იანვარში ვარჯიში დავიწყეთ, პირველი შეკრება მარტყოფში გავიარეთ. ამინდებმა ხელი შეგვიშალა და სრულფასოვანი მომზადება ვერ მოვახერხეთ. აუცილებლად უნდა ვთქვა ფეხბურთელების შემართება და მონდომება – პირველივე დღიდან გამოაჩინეს, რომ თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან. მადლობა მინდა ვუთხრა მათ გვერდში დგომისთვის. ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო ტარიელ ხეჩიკაშვილს, რომელიც ყველაფერს აკეთებს, რომ კარგ პირობებში ვიყოთ და სრულყოფილად მოვემზადოთ.

***– როგორ ჩაიარა თურქულმა შეკრებამ?***

– თურქეთში მოსამზადებლად ბევრი ევროპული კლუბი ჩადის, იქ კარგი პირობებია. ვითამაშეთ რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა, დავინახეთ რა კუთხით გვმართებს მომატება, სად გვაქვს პრობლემები. იყო პოზიტიური ფაქტორებიც. საერთო ჯამში, კარგი სპარინგ-მატჩები გამოგვივიდა.

***– დაასრულეთ დაკომპლექტება თუ კიდევ უნდა ველოდოთ სიახლეებს?***

– ძირითადად დაკომპლექტებულები ვართ, მაგრამ თუ ვინმე საინტერესო ფეხბურთელი გამოჩნდება, უარს ნამდვილად არ ვიტყვით. ყველა მწვრთნელს უნდა, რომ ორი კარგი შემადგენლობა ჰყავდეს, რათა გუნდში ჯანსაღი კონკურენცია იყოს. ეს ფაქტორი წარმატებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

***– ახალგაზრდებითა და აკადემიის ფეხბურთელებით რამდენად კმაყოფილი ხართ?***

– საბურთალოს კარგი ახალგაზრდობა ეზრდება. მათ ხელშეწყობა სჭირდებათ. დარწმუნებული ვარ, ახალგაზრდა ფეხბურთელებს წარმატებით თამაში შეუძლიათ. ინდივიდუალურად ბევრი მუშაობაა საჭირო, ერთი ვარჯიში არაა საკმარისი. ძალიან ბევრი უნდა იშრომო, რომ გარკვეულ შედეგს მიაღწიო.

***– საქართველოში პირველად იმუშავებთ. რამდენად კარგად იცნობთ ქართულ ფეხბურთს?***

– თავისუფალ დროს საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე დავდიოდი, მაგრამ ეს არაა საკმარისი, რომ სრულად გავიგო მისი ძალა. ამავდროულად, უშუალოდ უნდა იყო ჩართული პროცესში, რომ მეტი შეფასება გააკეთო. რამდენიმე დღეში მწვრთნელის რანგში ოფიციალური დებიუტი მექნება, იმედია წარმატებული გამოვა. სამწვრთნელო შტაბი ძალიან მეხმარება, რომ უკეთ გავერკვე ქართულ ფეხბურთში. ისინი გვერდში მიდგანან, რისთვისაც მათ მადლობას გადავუხდი. იოლი არ არის სამი ქულის მოპოვება, ყველა თამაშში სრული კონცენტრაცია უნდა მოახდინო, რომ წარმატებას მიაღწიო. უფრო მეტის თქმა ქართულ ფეხბურთზე გარკვეული დროის შემდეგ შემეძლება.

***– რამდენიმე მწვრთნელთან გიმუშავიათ. ყველაზე მეტად რომელმა დაგამახსოვრათ თავი?***

– ყველა მწვრთნელს თავისი მიდგომები და ხედვები აქვს, ყველას თავისებურად ესმის ფეხბურთი. ვისთანაც მიმუშავია, ყველასგან დიდი გამოცდილება მივიღე.

***– ახალ სეზონში როგორ ფეხბურთს უნდა ველოდოთ საბურთალოსგან?***

– სწრაფ, კომბინაციურ ფეხბურთს ვითამაშებთ. მიყვარს ეს სტილი. ყველა თამაშში ბოლომდე ბრძოლა მოგვიწევს, წინ დიდი და რთული სეზონი გველის.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შედეგები

**21 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| აინტრახტი-ნაპოლი | 0:2 |
| ლივერპული-რეალი | 2:5 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბლექბერნი-ბლექპული | 1:0 |
| მილუოლი-ბარნლი | 1:1 |
| ნორვიჩი-ბირმინგემი | 3:1 |
| როტერჰემი-სანდერლენდი | 2:1 |
| სუონსი-სტოკი | 1:3 |

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

### კალეიდოსკოპი

## მაღაზიაში ქათმის საყიდლად შესული მამაკაცი ლატარიის გამარჯვებული გახდა



ამერიკის მერილენდის შტატის მცხოვრებმა მამაკაცმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა და თავი ბაზოუს ფსევდონიმით წარადგინა, ადგილობრივი პროდუქტების მაღაზიაში ლატარიის ბილეთები შეიძინა და სახლში გამდიდრებული დაბრუნდა. ბაზოუ 6 თებერვალს შუაღამისას შიმშილის გრძნობამ გააღვიძა, ადგა, ჩაიცვა და იქვე მახლობლად მდებარე მაღაზიას მიაშურა შემწვარი ქათმის საყიდლად. დახლზე მან ლატარიის ბილეთები შენიშნა და გადაწყვიტა, ისინი დარჩენილი ხურდა ფულით შეეძინა. ბაზოუმ ქათამი შეჭამა, ბილეთები შეამოწმა და სახლში დაბრუნდა.

მამაკაცის თქმით, ის დიდხანს ვერ ახერხებდა დაძინებას და გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ შეემოწმებინა თავისი ბილეთები. განმეორებითი შემოწმების შემდეგ კი მიხვდა, რომ 750 ათასი დოლარი მოიგო.

– ცხოვრებაში ასეთი დიდი თანხა არასოდეს მომიგია. საქმე ქათამში იყო. ჩვეულებრივ, ღამე არასოდეს მეღვიძება, – ამტკიცებს ამერიკელი.

მაღაზია, რომელშიც ბაზოუმ მომგებიანი ლატარიის ბილეთი შეიძინა, ბონუსის სახით ათას დოლარს მიიღებს. ამერიკელის თქმით, ის ჯერ თავის ასეთ წარმატებას იზეიმებს და მთებში გაემგზავრება, შემდეგ კი თავისთვის და შვილისთვის ახალ სახლს იყიდის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ფასიანი ქაღალდების კურსის დაწევა ბირჟაზე; 2. შვეიცარიელი მხატვარი; 3. საერთაშორისო ხელშეკრულების შესავალი ნაწილი; 4. მშენებლობაში გამოყენებული ცემენტისა და ქვიშის წყალში გახსნილი მასალა; 5. ამერიკელი მოჭადრაკე მამაკაცი, მსოფლიო ჩემპიონი; 10. უწესრიგობა, არეულობა, ქაოსი; 9. თანავარსკვლავედის ძველი ქართული სახელწოდება; 14. ქართველი შტანგისტი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 15. ავარიის შედეგად გემისთვის მიყენებული ზარალის შემფასებელი ოფიციალური ექსპერტი; 16. პროგრამირების ერთ-ერთი ენა გამოთვლით ტექნიკაში; 19. ლომის ან ვეფხვის ნაშიერი; 20. აკაკი წერეთლის ლექსზე შექმნილი პოპულარული სიმღერა; 21. ფილტვებისა და გულმკერდის ღრუს კედლების დამფარავი აპკი.

**თარაზულად:** 6. სითხის გამოსახდელი აპარატი; 7. პირველი ქართველი მფრინავი; 8. ფრანგული პური; 11. ბავშვთა გასართობი ცენტრი მთაწმინდის პარკში; 12. სახელმწიფო აზიაში; 13. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. ერთგვარი თამაში-გამოცანა; 18. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 22. ეკიპაჟის საცხოვრებელი სათავსო გემზე; 23. ჭაობში მზარდი ისლისებრი მცენარე; 24. ჩხუბის, აყალმაყალის ამტეხი ადამიანი; 25. ებრაული სამლოცველო.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. რეტორტა; 2. შხამი; 3. ზედაზენი; 4. პუდინგი; 5. პანტომიმა; 9. დიდუბე; 12. ვანდომი; 14. ლოკალი; 15. ვაცი; 17. მტილი; 18. ლალი.

**თარაზულად:** 6. ფესახი; 7. პერკუსია; 8. ხორუმი; 10. ანეტო; 11. კარაბადინი; 13. ღლიღვები; 16. კადიმა; 19. ალკოჰოლი; 20. ნოტიპი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჟენშენი; 2. ლიბრეტო; 3. კრაისლერი; 4. ალმასი; 5. ოსტინი; 9. წუნდა; 10. ამტყელი; 14. ჰერბარიუმი; 15. შერმადინი; 16. პლეადა; 19. კეტჩუპი; 20. ჟენევა; 21. ნადური.

**თარაზულად:** 6. რესპირატორი; 7. ბიბლისი; 8. უშქარი; 11. პუნსონი; 12. ატომი; 13. მეოტიდა; 17. სეგიდელია; 18. ფილისტერი; 22. დეკორტი; 23. დრამერი; 24. სპონსორი; 25. რიქსდაგი.

ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge
23 თებერვალი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.6396 |
| ევრო | 2.8072 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 3.1897 |
| 100 რუსული რუბლი | 3.5159 |

## ამინდის პროგნოზი 23 თებერვლისათვის




## კვარაცხელიამ აინტრახტთან საგოლე პასი გააკეთა



ნაპოლიმ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველ შეხვედრაში სტუმრად აინტრახტს მოუგო 2:0 და ხვიჩა კვარაცხელიამ ლამაზი საგოლე გადაცემა გააკეთა ქუსლით. აღსანიშნავია ისიც, რომ ხვიჩამ პირველ ტაიმში პენალტი ვერ გაიტანა და მას კევინ ტრაპმა აჯობა, თუმცა საბოლოოდ კვარაცხელიას მაინც ნაყოფიერი შეხვედრა ჰქონდა. განმეორებითი მატჩი ნეაპოლში 15 მარტს გაიმართება.

## ჯეიმი კარაგერმა ლივერპული გააკრიტიკა



ლივერპული რეალთან საკუთარ მოედანზე 2:5 დამარცხდა. ბუნებრივია, ამ მატჩის შემდეგ ლივერპული ბევრმა გააკრიტიკა და მათ შორის ჯეიმი კარაგერმაც, რომლის აზრით, გუნდის მთავარი პრობლემა დაცვაა: „ვან დეიკმა ცუდად ითამაშა. ის ბოლო პერიოდში კარგ ფორმაში არ არის და ეს ლივერპულის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. ვფიქრობ, კლოპმა პირველ რიგში დაცვაზე უნდა იფიქროს“.

## ლევანდოვსკი: „მანჩესტერში გამარჯვება შეგვიძლია“



ბარსელონის პოლონელმა ფორვარდმა რობერტ ლევანდოვსკიმ მანჩესტერ იუნაიტედთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს შეუძლია მანჩესტერში გამარჯვება, თუმცა ეს რთული იქნება: „პირველი შეხვედრა ძალიან სანახაობრივი გამოდგა და მინდა, რომ მანჩესტერშიც იგივე განმეორდეს. ჩვენ გვაქვს გეგმა და შევეცდებით, ეს გეგმა ბოლომდე შევასრულოთ, თუმცა ვიცით, რომ სირთულეები იქნება“.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ქალი საკუთარ თავს გაჰყვა ცოლად



აშშ-ის მოქალაქემ საკუთარ თავზე გათხოვება გადაწყვიტა და ამისთვის მდიდრული საქორწინო ცერემონია გამართა. ქალს საკუთარ თავზე დაქორწინება ოთხი ათას დოლარზე მეტი დაუჯდა.

30 წლის დენი საკუთარ თავს გასული წლის 10 დეკემბერს გაჰყვა ცოლად ოჯახის და მეგობრების თანდასწრებით. ქორწილს პატარძლის ცხრა მეგობარი ესწრებოდა. კიდევ ერთი ცერემონიას ღვთისმსახურის მაგივრად ატარებდა. კულმინაციურ მომენტში მან პატარძალს ჰკითხა, დებდა თუ არა პირობას, რომ არასოდეს უღალატებდა საკუთარ თავს, არ დაიხევდა უკან, პატივს სცემდა, ეყვარებოდა და დააფასებდა საკუთარ თავს. სიტყვა: „გპირდები“-ით დენიმ სარკეში საკუთარ ანარეკლს აკოცა, რომლის წინაც იდგა მთელი ამ ცერემონიის დროს.

დენის თქმით, ეს ცერემონია იყო იმის მტკიცებულება, თუ როგორ უყვარს და აფასებს საკუთარ თავს. ქალის ნათესავები თავიდან გაგებით არ შეხვედრიან მის ამ გადაწყვეტილებას და ის საკმაოდ უცნაურად მიიჩნიეს, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ, ამ ყოველივეს შეეგუვნენ და უფრო მეტიც, მისი ქორწილი საკმაოდ „მაგარ“ მოვლენად ჩათვალეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 23 თებერვლისათვის



**ვერძი** – კონფლიქტი და საქმის გარჩევები დიდ ენერგიას გართმევთ. შემოქმედებით სფეროში მომუშავეებს გიმართლებთ. **კურო** – დღეს მიიღებთ იმას, რაზეც ადრე ოცნებობდით. ყოველმხრივ წარმატებული და კეთილისმყოფელი დღეა. **ტყუპები** – ბიზნესის სფეროში დაკავებულებმა იფრთხილეთ. მოსალოდნელია დაღლილობა და დეპრესია. **კირჩხიბი** – ემოციური აღმავლობის დღეა. შთაგონება გეწვევათ, თუმცა სამსახურში უსიამოვნების ალბათობა დიდია. **ლომი** – ნებისმიერ სიტუაციაში სიმამაცე გმართებთ. ლიდერობისკენ სწრაფვა პრობლემებს შეგიქმნით. **ქალწული** – შანსი გამოიყენეთ და ფორტუნა გაგიღიმებთ. ძალები სწორად გაანაწილეთ. **სასწორი** – საყიდლებზე წასვლა თამამად შეგიძლიათ. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **ღრიანკალი** – ძალები ახალ სფეროში მოსინჯეთ. თუ გონიერებას გამოიჩენთ, გაგიმართლებთ. **მშვილდოსანი** – ნუ იაქტიურებთ. ენერგია სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საქმეებისთვის დაზოგეთ. დღეს თავს დასვენებისა და გართობის უფლება მიეცით. **თხის რქა** – დაწყებული საქმე აუცილებლად განაგრძეთ. ერიდეთ ხმაურიან ადგილებს. **მერწყული** – შეცდომები თამამად აღიარეთ და გამოასწორეთ. გიმახვილდებათ ინტუიცია. **თევზები** – ეს დღე ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მიუძღვენით. ნუ იძუნწებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

•••

სკოლიდან დაბრუნებული ბავშვი დედას ეუბნება:

– დედიკო, დღეს სკოლის დირექტორმა მკითხა, ჩვენ ოჯახში მე ერთადერთი ბავშვი ვარ თუ არა.

– მერე, შენ რა უპასუხე?

– ერთადერთი.

– და დირექტორმა რაო?

– „მადლობა ღმერთს!“

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, სულ რომ მივლინებებში დადიხარ, შენს ცოლს კაცების რიგი უდგას.

– მერე, რა ვქნა?

– რა უნდა ქნა და გაშორდი.

– მერე, მეც რიგში ჩავდგე?

•••

ორი ნაცნობი კამათობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– იცი რა, ეგ შენი აზრი უკან შეიტენე!

– სამწუხაროდ, არ შემიძლია, ჩემი ფილოლოგის დიპლომისა და ბედნიერ მომავალზე ოცნებების შემდეგ იქ თავისუფალი ადგილი აღარ დარჩა.

•••

ქორწილის წინ დედა ქალიშვილს არიგებს:

– შვილო, იცოდე, ქმართან ბოლომდე არასოდეს გაიხსნა, ქალი მამაკაცისთვის გამოცანა უნდა იყოს, საიდუმლო...

– მაინც?

– მაგალითად, მის წინაშე ბოლომდე არ გაშიშვლდე, თუნდაც რამე ნაწილი დაიფარე. ეს მამაკაცს უფრო მეტად აღაგზნებს.

ქორწილიდან გარკვეული დროის შემდეგ სიძე სიდედრს ურეკავს და ეკითხება:

– თუ შეიძლება, მითხარით, თქვენს ოჯახში ფსიქიკურად ყველა ჯანმრთელი იყო?

– დიახ. და რა ხდება?

– ისეთი არაფერი, მაგრამ თქვენი ქალიშვილი უკვე ერთი კვირაა, ლოგინში მხოლოდ ქუდით წვება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მატილდა გვარლიანი დავით კომახიძის ჩვენებაზე გამოვიდა



მოდელი მატილდა გვარლიანი სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება მსოფლიო მოდის ინდუსტრიაში. ლამაზმანი აქტიურად მონაწილეობს პარიზის, მილანის, ლონდონის მოდის კვირეულებში და ცნობილი დიზაინერების ახალ კოლექციებს წარადგენს.

მატილდამ მონაწილეობა მიიღო მსოფლიოში ცნობილი ქართველი დიზაინერის დავით კომახიძის, მავე დევიდ კომას უახლესი კოლექციის ჩვენებაში. დიზაინერმა ლონდონის მოდის კვირეულის ახალ სეზონზე შემოდგომა-ზამთრის 2023 წლის უახლესი კოლექციის ჩვენება გამართა.

## თემურ თათარაშვილს საბერძნეთში ბლოკავენ



მომღერალი თემურ თათარაშვილი აცხადებს, რომ საბერძნეთში მისი კონცერტის ჩატარება ხელოვანის პოლიტიკური შეხედულების გამო იბლოკება:

– ჩემმა ახლობელმა მომწერა საბერძნეთიდან, მინდა, გაგიკეთო კონცერტი, მაგრამ შენი პოლიტშეხედულების გამო ვერ ვაკეთებ, ვერც შენ დაგიცავ და ვერც ჩემს თავსო. არასოდეს გამიგია ჯერ, რომ საპირისპირო მხარდამჭერების კონცერტზე არ მისულიყვნენ და აერიათ „ოცნების“ მხარდამჭერებს.

## ამერიკელი რეპერი სილო გრინი თბილისში კონცერტს გამართავს



მსოფლიოს მასშტაბით ცნობილი ამერიკელი მომღერალი, კომპოზიტორი, რეპერი და მსახიობი სილო გრინი თბილისში კონცერტს გამართავს.

3 მარტს გრემის 5-გზის მფლობელი მომღერალი საქართველოს დედაქალაქში ჩამოვა და მსმენელისთვის მის ცნობილ ჰიტებს შეასრულებს. კონცერტზე დასასწრები 100-ლარიანი ბილეთები სრულად გაყიდულია.

## ქართველი გამომცემლები უკრაინის მხარდასაჭერად შეიკრიბებიან




24 თებერვალს ქართველი გამომცემლები უკრაინის მხარდამჭერ ღონისძიებას გამართავენ. ამ დღეს უკრაინაში რუსეთის შეჭრიდან ზუსტად ერთი წელი სრულდება. გამომცემელთა სექტორი უკრაინის მხარდასაჭერად გაერთიანდება და მწერალთა სახლში გამართავს ღონისძიებას „ომი, როგორც გამოცდილება“. ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სახის შეხვედრები, უკრაინის მხარდასაჭერად გამოცემული წიგნების პრეზენტაცია და დისკუსიები.

ღონისძიებას ექნება საქველმოქმედო ნაწილიც, რომლის ფარგლებშიც დისკუსიების პარალელურად მოხდება უკრაინელი ავტორების წიგნების, თარგმანების, ბოლო ერთი წლის განმავლობაში გამოცემული უკრაინის მხარდასაჭერი კრებულების გამოფენა-გაყიდვა. გამოიფინება და გაიყიდება უკრაინელი ბავშვების ნახატებისგან შექმნილი ღია ბარათები. მისულ სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ, შეიძინონ და დააგემოვნონ უკრაინელი ლტოლვილების მიერ მომზადებული საჭმელები. შემოსული თანხა კი უკრაინის დასახმარებლად საქველმოქმედო მიზნებისთვის დაიხარჯება.

ღონისძიება 3 ძირითადი ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილი იმ წიგნების პრეზენტაციას დაეთმობა, რომლებიც უკრაინის მხარდასაჭერად და საქველმოქმედო მიზნებით გამოიცა ბოლო თვეების განმავლობაში. მეორე ნაწილში მწერალ რაულ ჩილაჩავასთან შეხვედრა ჩატარდება. მწერალი იმ წიგნებს წარადგენს, რომლებიც უკრაინულ თემატიკაზე დაწერა და ისაუბრებს საკუთარ გამოცდილებაზე, რომელიც ასევე უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობებს უკავშირდება. დასკვნით, მესამე ნაწილში კი გამომცემლობა „დიოგენე“ გამართავს დისკუსიას, სადაც მიწვეული სპიკერები ისაუბრებენ ომის გამოცდილებაზე როგორც ინდივიდუალურ, ისე სოციალურ ჭრილში. საუბარი შეეხება ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოში განვითარებულ კონფლიქტებსა და სამოქალაქო საზოგადოების ხედვას ამ საკითხებზე.

## საქართველოში 20-იან წლებში გატანილი ნახატი დაბრუნდა

გასული საუკუნის 20-იან წლებში საქართველოდან გატანილი ფრანგი მხატვრის ჟოზეფ კონსტანტის ნახატი დაბრუნდა.

ინფორმაცია ისტორიკოსმა გიორგი კალანდიამ გაავრცელა:

– 30 წელზე მეტია, სამუზეუმო სფეროში ვარ. რაც თავი მახსოვს, სულ იმას ვდარდობდით, რომ ამ ქვეყნიდან უნიკალური ხელოვნების ნიმუშები ტოტალურად გაჰქონდათ, ბოლო 2 წელია, პირიქით ხდება. ამჯერად უცხოეთიდან საქართველოს კუთვნილ ნივთებს უკვე სამშობლოში ვაბრუნებთ. მეც მიხარია და მადლიერი ვარ კულტურის სამინისტროსი, რომელმაც ამ საქმეს გასული წლიდან ჩაუყარა საფუძველი. ამ უნიკალური ტილოს ავტორი დიდი ფრანგი მხატვარი ჟოზეფ კონსტანტია. საქართველოდან 20-იან წლებში გატანილმა ამ ტილომ, შეიძლება ითქვას, თავად გვიპოვა. მას დიდი ხნის ძიების შემდეგ ლონდონში მივაკვლიეთ. ეს ცალკე ისტორიაა, რომელსაც მოგვიანებით მოვყვები. ახლა კი მთავარი კითხვა: ვინ არის ტილოზე გამოსახული? რამდენიმე ვერსიაა: ზოგი მას ქართველ უფლისწულად მიიჩნევს, ზოგი – აფხაზ ან ჩერქეზ თავადიშვილად. მეცნიერი აკაკი ჭანტურია წერდა: „უფლისწულს, წითლის ყაბალახის გარდა, თეთრი ჩოხა ლურჯის ფუნჯებით აცვია, ხელი ალპატოვისეულ ხმალზედ უდევს. ეს ყმაწვილი ფრიად მგვანებია აწ განსვენებულის მინგრელსკის ვაჟს ნიკო ნიკოს ძე დადიანს, მაგრამ მყარი საბუთი ამისა არ არის“.



**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პირველი ამერიკელი ასტრონავტი; 2. მდინარის მოტანილი სილა, თიხა, ქვა-ღორღი; 3. დაავადებული ორგანოს სრული ან ნაწილობრივი მოკვეთა; 4. მსხლის ფორმის მქონე ზეთით მდიდარი ნაყოფის მქონე ტროპიკული მცენარე; 5. გეოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს დედამიწის ქერქის მოძრაობისა და დეფორმაციის პროცესებს; 9. გია დანელიას კინოკომედია; 12. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 14. სიტყვების წარმოთქმის მანერა; 15. ქართული ლუდი; 17. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; 18. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი.

**თარაზულად:** 6. მექსიკური არაყი; 7. ცნობილი ქართველი ინფექციონისტი; 8. მოყვითალო ფერის სურნელოვანი ყვავილების მქონე ფოთლოვანი ხე; 10. ეგვიპტის დედაქალაქი; 11. წყლის შიში; 13. გადაჭარბებული თაყვანისცემა რაიმესადმი; 16. არქტიკული ზონის უტყეო სივრცე; 19. ქალაქი ბელგიაში, სადაც განთავსებულია „ნატოს“ შტაბ-ბინა; 20. ჩქარტემპიანი ესპანური ცეკვა კასტანიეტების თანხლებით.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

